ᲕᲐᲚᲘᲓᲐᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲠᲛᲔᲢᲘ

ᲑᲠᲐᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ᲡᲐᲙ. კ. პ. (ბ) ᲪᲔᲜᲢ. ᲓᲐ ᲛᲠᲩ. ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲙ. ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘ: რედაქტორის—14—76, რედ. მოთხოვნილების—22—17, სამდივნოს—10—58, მეო. კონტორის—5—51.

დ ღ ი უ რ ი

— ᲘᲜᲒᲚᲘᲡ-ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲐ.

— ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲙᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ.

— ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗ-ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑ. ᲑᲠᲝᲜᲔᲑᲐ.

ხუთშაბათი, 20 ოქტომბერი 1932 წ. № 244 (3498)

ᲩᲐᲘ

ᲡᲐᲙ. Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲙᲐᲡ 31 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲡ

ᲨᲔᲕᲔᲮᲕᲓᲔᲗ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲘᲚᲬᲔᲕᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲐᲜ

ᲡᲐᲙ. Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲙᲐᲡ 31 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

საკ. კ. პ. (ბ) ცეკამ 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიულ დადგენილებაში ხაზი გაუსვა, რომ „მომრე ხუთწლედში ამბერკავკასიამ ძირითადად უნდა დააკმაყოფილოს მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება ჩაის მხრით“. ამ გადაწყვეტილებათა საფუძველზე საქართველოს კ. პ. (ბ) ცეკას ახალი შემადგენლობის სწორი ხელმძღვანელობით პარტიული, საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციები ენერგიულად შეუდგნენ ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ შეცდომების გამოსწორების ჩაის განვითარების დარგში.

მოახლოვდა ცეკას 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებათა ერთი წლის თავი. ამკარად უნდა ითქვას, რომ ჩაის განვითარების ფრონტზე ჩვენ გვაქვს დიდი მიღწევები. მთელ რიგ ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა ცეკას 31 ოქტომბრის დადგენილებათა და ამხ. სტალინის 6 მითითების საფუძველზე მუშაობა, და მუშათა ფართე მასების დარაზმული მოცდელი გეგმები შეასრულეს გადაჭარბებით.

ამ მხრივ ამჟამად წინ ვიღიან: ნატანების, ნასაკირალის, და ჩაქვის, საბჭოთას მეურნეობები. ჩაის კოლმეურნეობებიდან: „საბედნო თვალი“, ამხ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა და სხვა, რომლებმაც მუშაობის მეთოდად დაისახეს გეგმების დროულად და ყოველ მუშაზედ და კოლმეურნეობაზე დაყვანა, საბჭოთა მეურნეობების ანგარიშის გატარება, საბჭოთა მეურნეობებში სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება, სანარდო სისტემის გატარება, საბჭოთა მეურნეობებში ანგარიშების ანგარიშის ბრიგადების ჩამოყალიბება და კოლმეურნეობებში საწარმოო ბრიგადების შექმნა, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, ძველი პლანტაციების სანიმუშოდ მოვლა, ბრძოლა ბარბისებთან; გაუპირობების ლიკვიდაცია და სხვ.

იქ, სადაც მუშაობა მიმდინარეობს ამხ. სტალინის 6 მითითებათა და პარტიის დადგენილებათა რეალიზაციის საფუძველზე, გეგმა თავის დროზე იქნა შესრულებული, მაგ. ნატანების ჩაის საბჭოთა მეურნეობამ გეგმა შეასრულა გადაჭარბებით. ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობას ჯერ კიდევ 20 სექტემბრისათვის მთლიანად შესრულებული ჰქონდა პლანტაციების გათოხვნის და ტრანშეის გაყვანის გეგმები, ასეთივე სურათი გვაქვს სალიბაურის საბჭოთა მეურნეობაში. სოფ. ხუცუბანში ჩაის კოლმეურნეობა „სამეგრის თვალმა“ ჩაისათვის ნიადაგის მომზადებისათვის გეგმა უკვე 150 პროცენტით შეასრულა.

ყველე დროს არიან ჩაის ზოგიერთი საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობები, სადაც ნიადაგის მომზადების დარგში ადგილი აქვს სერიოზულ ჩამორჩენებს, რაც უნდა მიეწეროს ადგილობრივი ორგანიზაციების სუსტ მუშაობას. ამ მხრივ უმთავრესად აღსანიშნავია აუზაზეთის და აბაშისტაფნის ზოგიერთი კოლმეურნეობა, კოლ ორის, აჩიგვარის და ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობები. ამ მეურნეობებში გარდვეულ ხელს უწყობს ის მდგომარეობა, რომ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა სათანადოდ ვერ გაშალეს ბრძოლა ჩაის ნიადაგის მომზადებისათვის. მეურნეობებში ადგილი აქვს მუშა-ხელის ხშირ ცვალებადობას, მათ ვერ შესძლეს კოლმეურნეობებიდან გუნდ - ხელის გეგმიანად შეგროვებას; კოდორის ხაბჭ. მეურნეობაში 98-ის ნაცვლად მუშაობს 36 კაცი. აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში 728 კაცის ნაცვლად მუშაობს მხოლოდ 97 კაცი.

ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დამკვრელი ბრიგადებ; მარცხნივ — ა. მ ჭა ტაძე, მარჯვნივ —დ. ცომაია

ᲐᲭᲐᲠᲘᲡᲢᲐᲤᲜᲘᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲓᲐᲛᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ. გეგმით ნიადაგი მომზადებული უნდა იქნას 445 ჰექტარზე, ფაქტიურად 10 ოქტომბრისათვის მომზადებული იყო 151 ჰექტ. ანუ გეგმის 34 პროც.

მთავარი, რაც უზრუნველყოფს გეგმების დროზე შესრულებას, ეს არის უპირველეს ყოვლისა, არსებული მუშა-ხელის შენარჩუნება საბჭოთა მეურნეობებში და ზრუნვა მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე მუშა-ხელის ორგანიზაციულად შეგროვება, სოციალისტური ბრძოლა და დამკვრელობის გაზრდა, სანარდო სისტემის ნამდვილად გატარება, და თითეული ბრიგადის უზრუნველყოფა კონკრეტული ხელმძღვანელობით.

შ. ჯანბაზიძე.

ტრიფოლიატა—ჩაის პლანტაციების დასაცავათ

ხელმძღვანელ ორგანოთა დადგენილების საფუძველზე **ლანჩხუთის** რაიონში ფართოდ გაიშალა ახსნაგანმარტებითი მუშაობა ტრიფოლიატის თესლის დამზადების მოცემული გეგმა **3000 კილოგრამის** რაოდენობით, განაწილდა ავრო-საწარმოო უბნებზე; სუფსის ავრო - საწარმოო უბანზე 1.300 კილოგრამის რაოდენობით, რაც გეგმის 43,3 პროცენტს უდრის.

ტრიფოლიატა ჩაის პლანტაციებზე ცოცხალი ღობეების შემოსავლად და ძირფას მასალას წარმოადგენს. საჭიროა ამ საქმეს ყურადღებით მოეკიდნენ ჩაის რაიონების სამმართველო - სატრაქტორო სადგურები.

ე. ჩხაიძე.

ჩაის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლებს უნდა იცნობდეს მთელი ქვეყანა

(ოზურგეთი, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

ივლისის პირველ ნახევრიდან სექტემბრის სამ რიცხვამდე რაიონში გამოშვებით წვიმდა. სექტემბრის უკანასკნელი რიცხვები და ოქტომბრის პირველი ნახევარი განაგრძობდა წვიმას. სექტემბრის ნახევარი გადაეკეტა ჩაისათვის ბრძოლის მეტად საპასუხისმგებლო პერიოდად.

ამ ოცი დღის განმავლობაში მთელი ძალები გადასროლილი იქნა ჩაის ფრონტზე. ამ ხნის განმავლობაში რაიონი ჩქარი ნაბიჯით წავიდა წინ არა მარტო ცალკე კოლმეურნეობების, მიხედვით, არამედ მთელი რაიონის მასშტაბით.

გეგმის მიხედვით მიმდინარე წლის მეორე ნახევ. რაიონში უნდა მომზადებულიყო ნიადაგი ჩაისათვის 675 ჰექტ., ამათგან ხელით 200 ჰექტარი და ტრაქტორით 471 ჰექტარი. ხელით საბავიც გეგმა რაიონმა ჯერ კიდევ ოქტომბრის პირველ რიცხვებში შეასრულა გადაჭარბებით (120 პროც.). მაგრამ ტრაქტორების წესრიგში მოუყვანლობის გამო ტრაქტორით სახნავი ფართობების უმეტესი ნაწილი ე. ი. 212 ჰექტარი მასიური მუშაობის გაშლის საფუძველზე გადაცემული იქნა კოლმეურნეობებზე — ხელით სახარავად. ამრიგად ხელით სახარავი გეგმა 2 ოქტომბრიდან გადიდებული იქნა 412 ჰექტარამდე. პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირის და საკოლმეურნეო ორგანიზაციების ბოლშევიკური მუშაობის (რაიონიდან ადგილებზე 26 პ. მგ. ამხანაგების გაგზავნა, კოლმეურნეობების სუსტსაით უზრუნველყოფა, სოციშეჯიბრების და დამკვრელობის ფართოდ გაშლა, წვიმელი და შავი დაფის შემოღება, ბრძოლა დეზერტირებისა და ზარმაცების წინააღმდეგ და სხვ.) შედეგად რაიონის მთლიანი გეგმა (ხელით 298 ჰექტარი, ტრაქტორით 178 ჰექტ.) 675 ჰექტარის რაოდენობით 15 ოქტომბრისათვის შესრულებული იქნა 70,8 პროც.

ორგანიზაციულად მძლავრმა კოლმეურნეობებმა მინდვრებზე დარაზმული გამოსულით და მთელი ძალების მობილიზაციით დაამტკიცეს გეგმის წარმატებით შესრულების შესაძლებლობა; ისინი იძლევიან იმის საუკეთესო მაგალითს, რომ შეიძლება უფრო მაღალი ტემპების აღება, შეიძლება უკეთ მუშაობა და ახალი გამარჯვების მოპოვება

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გამარჯვებული **ნატანებს, ჯინჯახის და ნაგომარს** მეორე ნახევარში შეუერთდენ **ცხემლისხიდის, დვაბზუს, ჯუმათის, ძიმითის და სილაურის კოლმეურნეობები.**

წლის მეორე ნახევარში კვლავ გამარჯვებით გამოვიდა ჯონჯკათის კოლმეურნეობა (გეგმა 3 ოქტომბრისათვის შესრულა გადა ჭარბებით). მასში მოწინავე ბრიგადებით ითვლებიან: **1-ლი და მე-3 ბრიგადა — ხარიტო ცერცვაძის და ეპიფ. ტულუშის** ხელმძღვანელობით; საუკეთესო დამკვრელთა რიცხვს ტყუთენრან: **სარდიო გოთუა, ბაბილო გოთუა, ერმილე ჩაჩიბაძე და ს. გოგაცაძე,** რომლებმაც (თითეულმა მათგანმა) დაბარეს 1.500 კვ. ფართობი და გეგმა შეასრულეს 185—187 პროც.

სოფ. **დვაბზუმ** 10 ოქტომბრისათვის გეგმა (20 ჰექტარი) შეასრულა 112,5 პროც. იგი კვლავ აძლიერებს ბრძოლას გეგმის 150 პროც. შესრულებისათვის.

ჯუმათმა 13 ოქტომბრისათვის გეგმა (30 ჰექტ.) შეასრულა მთლიანად: ჯუმათის სახელოვანი ბრიგადებია: **მე-3, მე-2, მე-14 და მე-5 ბრიგადა — მოსე ვარაძის, კ. არ თილაყვას, ვიქტორ ჩხარტიშვილის და ყარ. მითაიშვილის** ხელმძღვანელობით; საუკეთესო დამკვრელები: **ხ. სეფერთელაძე, გ. დონდოლაძე, ვ. მათაიშვილი, იქ. დარჩია.**

გეგმის შესრულებას უახლოვდება (30 ჰექტარი) **შემოქმედის** კოლმეურნეობა. ცალკე ბრიგადების მიხედვით გეგმები უკვე გადაჭარბებით შეასრულეს: **მე-3 და მე-2** (შემოქმედი); **მე-3 და 1-ლმა** (წითელმთა), — **1-ლმა, მე-6 და მე-4** (ფატარი) ბრიგადებმა **დ. ყარიგიშვილის, დ. ქარჩავას, ეპ. დუმბაძის, სანდრო ელიაძის, კოწია სადრაძის, ბიჭიკო მგელაძის და ირ. გოგიბერიძის** ხელმძღვანელობით; საუკეთესო დამკვრელობა: **უშანგი გოლაძე, იესე გელაძე, კალ. აბაშიძე, დიმ. გარაყანიძე, ფ. ყარიგი შვილი, ლ. ქათამიძე, მოსე ლომჯარია, ვიქტორ ჩიტაიშვილი, მიხეილ ხვინგია, დათა დუმბაძე.**

გეგმები 15 ოქტომბრისათვის **116 და 104** პროც. შეასრულეს **სილაურის და ძიმითის კოლმეურნეობებმა.**

ჩამორჩენ: გურიანთა, ს. **ოზურგეთი,** ბახვი, ნაგომარი.

ოქტომბერი ჩაისათვის ბრძოლის გადამწყვეტი თვეა. სოციშეჯიბრების და საზოგადოებრივი ბუქსირის ფართოდ გამოყენება იმის მტკიცე გარანტიას გვაძლევს, **რომ** ოქტომბრის ბოლოს გეგმა ყოველ მიზნის გარეშე იქნება შესრულებული. **ოქტომბრის** შედეგები დავეანახებენ, თუ ვინ როგორ იბრძვის ჩაის დარაზმი საბჭოთა **კავშირის** დამოუკიდებლობისათვის, ვინ როგორ ახერებს საკ. ცეკას 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების, თუ ვინ როგორ ანხორციელებს ბელადის 6 მითითებას.

ს. მასხულია

ჩაის ფოთლის დამზადების გეგმას შევასრულებთ

(აბაშისტანი)

ბათომის რაიონის კოლექტიურა და ინდივიდუალურმა მეურნეობებმა უნდა დაამზადონ **49,5 ტონა ჩაის ფოთოლი.** აქედან კოლმეურნეობებზე მოდის 7 ტონა, ინდივიდუალურ მეურნეობებზე—42,5 ტონა. კოლმეურნეობების მიერ დამზადებულია 5,668 ტონა, **რაც უდრის** გეგმის შესრულებას 81 პროც.-ით.

ინდივიდუალურ მეურნეობებს მზად აქვთ 36,639 ტონა, ე. ი. გეგმა შესრულებულია 88,8 პროც.-ით.

ბათომის რაიონს გეგმა საერთოდ შესრულებული აქვს **86,5 პროცენტით.**

ჩაის ფოთლის დამზადება მომდინარეობს გაცხოველებით და რაიონი 10 ოქტომბრისათვის (ჩაის ფოთლის კრეფის უკანასკნელი ვადაა) შეძლებს დავალების მთლიანად შესრულებას.

ა—ელი.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡ-ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲐ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲠᲗᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠ ᲡᲐᲘᲛᲝᲜᲘᲡ ᲜᲝᲢᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲡ

ლონდონი, 18 ოქტომბერი. 18 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ლონდონში მიიღო ბრიტანეთის სამთავრო საქმეთა მინისტრ საიმონის შემდეგი ნოტა:

„პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ დიდი ბრიტანეთის ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებულ სამეფოს მისი უდიდებულესობის მთავრობამ გადასწყვიტა შესწყვიტოს დროებითი სავაჭრო შეთანხმება, რომელიც ხელმოწერილი იყო ლონდონში 1930 წლის 16 აპრილს, აღნიშნული შეთანხმების მე-7 მუხლის პირველი პარაგრაფის დადგენილებებთან შეფარდებით. შეთანხმების მოქმედება ხელმოწერებული წესის მიხედვით შესწყდება ამ ნოტის დათარიღების დღიდან ექვსი თვის შემდეგ, ე. ი. 1933 წლის 17 აპრილს. ვსარგებლობ შემთხვევით და ამასთან გაცნობებთ, რომ შეერთებულ სამეფოს მისი უდიდებულესობის მთავრობა დაინტერესებულია იმით, რომ განვითარებულ ვაჭრობა ორივე სახელმწიფოს შორის, და ამ მიზნით მზად არის შეუდგეს დროებითი სავაჭრო შეთანხმების განგრძობის არასასურველობის შესახებ გაკეთებული განცხადებით შექმნილი მდგომარეობის განხილვას უახლოეს მომენტში, რომელსაც საბჭოთა კავშირის მთავრობა შესაფერისად მიიჩნევს. (ადს).

რეიტერის სააგენტოს ცნობა

ლონდონი, 18 ოქტომბერი. რეიტერის მსმა, — თავისი გამოხატულება ჰპოვეს კანადასთან დადებულ შეთანხმებაში და ბრიტანეთის მთავრობა დააყენეს დისკრიმინაციის პოზიციებში ამ ქვეყნის საქონლის შემოტანის აკრძალვის გზით, რომელიც ისა ხავს ასეთ მიზნებს. შეთანხმების ამ მუხლმა გამოიწვია საბჭოთა მთავრობასთან 1930 წლის 16 სექტემბრის ლონდონში დადებულ დროებითი სავაჭრო შეთანხმების გაუქმება, რომელიც საბჭოთა მთავრობას უქმნიდა ყველაზე უფრო ხელსაყრელ პირობებს. ამრიგად, ინგლის - საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულება ეწინააღმდეგება იმ აკრძალვებს, რომლებიც შეიძლება საქონლის გაცვლა-გადაცემაზე, რომლებშიაც ტერიტორიალური უფლებები გამოხატული იყო შემდეგნაირად მანჯურია, მონღოლეთი და ფუძინი — იაპონიას, ხოლო იუნანი, გუანსი და გუანდუნი—საფრანგეთს. „იაპონიასთან დადებულ ხელშეკრულებაში ფაქტიურად ეს ფორმა არ იყო გამოხატული, რადგან ამ ხელშეკრულების ძალით იაპონიის ვაჭრობა ჩინეთში სარგებლობდა ისეთი უპირატესობით, რომელიც ამ ხელშეკრულებით მინიჭებული არ ყოფილა.

თბილისის საკოლმეურნეო ბაზრობაზე

ხვალ ახალ ბაზარში მოეწყობა პოლიტდღე

კოლმეურნეებო და ღარიბ-საშუალო გლეხებო! შემოიტანეთ შეკითხვები თქვენთვის საინტერესო საკითხებზე

შემოიტანეთ შეკითხვები

ხვალ 21 ოქტომბერს, საღ. 8 საათზე ახალი ბაზრის კოლმეურნეთა საერთო საცხოვრებელში „კომუნისტი“-ს რედაქცია აწყობს პოლიტსაღამოს.

კოლმეურნეთა და ღარიბ-საშუალო გლეხთა შეკითხვებს პოლიტსაღამოზე უპასუხებს საქ. კოლმეურნეობათა ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. პარმენ ფულუკიძე

თბილისის საკოლმეურნეო ბაზრობაზე რესპუბლიკის ყველა რაიონებიდან ჩამოსული არიან კოლმეურნეები და ინდივიდუალური მშრომელი გლეხები. ბევრი საინტერესო და მათთვის საჭირო კითხვები უტრიალებთ თავში სოციალისტური სოფლის ამ მუშაკებს. ათასგვარი პრაქტიკული საკითხები, კოლმეურნეობის და კოლმეურნის ყოველდღიური მუშაობის მიმდინარეობა, საბჭოთა და კერძოდ საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის საკითხები, პარტიის დირექტივები ამსაკითხებზე და მთელი რიგი სხვა მეტად საინტერესო საკითხებისა, რომლებიც აინტერესებს როგორც კოლმეურნეს, ისე ღარიბ-საშუალო გლეხს.

ჩვენს საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს. არა მარტო სოფლად, კოლეურნეობებში, არამედ აქაც, ბაზრებზე, გლეხთა საერთო საცხოვრებლებში და ყველა იმ ადგილებში, სადაც თავს იყრიან სავაჭროდ ჩამოსული კოლმეურნები და ღარიბ-საშუალო გლეხები, ფართოდ გავშალოთ ახსნა-განმარტებითი მუშაობა. ბაზრებს უნდა მივცეთ საუკეთესო მომსხენებლები და აგიტატორები, ბაზრებზე უნდა მოვაწყოთ სისტემატიური აგიტაცია, ბაზარზე ჩამოსული ყოველ ურემი და ფურგუნი უნდა გამოვიყენოთ ტრიბუნად აგიტატორისათვის, რომელიც კოლმეურნეებს და ღარიბ-საშუალო გლეხებს ამომწურავ პასუხს მისცემს მისთვის საინტერესო საკითხებზე.

ბოლშევიკური, მასიური, ცოცხალი აგიტაციის გაშლით ბაზრებზე, საერთო საცხოვრებლებში და სხვაგან ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ქალაქში, საკოლმეურნეო ბაზარზედ სავაჭროდ ჩამოსული კოლმეურნე და ღარიბ-საშუალო გლეხი სოფლად დაბრუნდეს, როგორც სოციალისტური მშენებლობის მიღწევების, საბჭოთა ვაჭრობის გაშლის და მუშათა მომარაგების გაუმჯობესების კარგი აგიტატორი.

ამ ამოცანას ისახავს კერძოდ პოლიტდღის მოწყობა ბაზრებზე. პოლიტდღე, რომელიც წარმოადგენს ბოლშევიკური აგიტაციის ახალ, ცოცხალ ფორმას, საშუალებას იძლევა კოლმეურნეს და ღარიბ-საშუალო გლეხს ბაზარზე ფართოდ განუმარტოთ მისთვის საინტერესო საკითხი, ამომწურავი პასუხი მივსცეთ მას ამ საკითხებზე. თბილისის საკოლმეურნეო ბაზრობაზე ჯერ-ჯერობით ორგან ჩატარდა პოლიტსაღამო. ამ საღამოებზე კოლმეურნე და ღარიბ-საშუალო გლეხებს შემოქონდათ როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური შეკითხვები ყველა, მათთვის საინტერესო საკითხებზე. პოლიტსაღამოს დიდი ინტერესი გამოიწვია კოლმეურნე და ღარიბ-საშუალო გლეხთა შორის, გაადიდა მათი დაინტერესება მიმდინარე სამეურნეო პოლიტიკური საკითხებით.

ასეთივე პოლიტსაღამოს ხვალ, 21 ოქტომბერს ახალ ბაზარზე, კოლმეურნეთა საერთო საცხოვრებელში ჩაატარებს ბაზ. „კომუნისტი“-ს რედაქცია. პოლიტსაღამოზე კოლმეურნეები და ღარიბ-საშუალო გლეხები მიიღებენ პასუხს ყველა მათთვის საინტერესო საკითხებზე. ამ მიზნით შეკითხვები მათ უნდა ჩაუშვან სპეციალურად ბაზარში და საცხოვრებელში ჩამოკიდებულ ყუთებში, დასწერონ და შეიტანონ საღამოზე.

ამხანაგო კოლმეურნეებო და ღარიბ-საშუალო გლეხებო! რა საკითხები გაინტერესებთ თქვენ? შემოიტანეთ შეკითხვები. პასუხს თქვენს შეკითხვებზე იიღებთ ხვალ, საღამოს 8 საათზე ახალი ბაზრის საერთო საცხოვრებელში გამართულ პოლიტსაღამოზე. კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა შეკითხვებს უპასუხებს საქ. კოლმეურნეობათა ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. პარმენ ფულუკიძე.

ამხ. ფორცხალავას სახ. კოლმეურნეობამ (თბილისის რაიონი), ბაზრობაზე ჩამოიტანა ბოსტნეული

პირველი შედეგები

თბ. საკოლმეურნეო ბაზრობის მოწყობის მთავარი მიზანია მუშა-მოსხმარებლებისათვის სასურსათო პროდუქტების მიწოდება, რაც გამოიწვევს ამ პროდუქტებზე ფასების დაკლებას. ეს მიზანი ნაწილობრივ უკვე მიღწეულათ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან საკოლმეურნეო ბაზრობაზე ამჟამად, მთელი რიგი პირველი საჭიროების პროდუქტებისა 15—20 და ზოგჯერ 25—30 პროცენტით უფრო იაფია, ვიდრე საკოლმეურნეო ბაზრობის გახსნამდე იყო.

რა მოგვცა საკოლმეურნეო ბაზრობამ? პირველი ის, რომ თბილისში შემოზიდული იქნა ძალიან ბევრი სასოფლო სამეურნეო პროდუქტები. ბაზრობის მარტო პირველ დღეს თბილისში შემოზიდულ იქნა ცხრაასი ათას მანეთზე მეტის პროდუქტები, 16 ოქტომბერს შემოზიდულ იქნა—1.282.000 მანეთის, 17 ოქტომბერს—2.024.400 მანეთის, ხოლო 18 ოქტომბერს—1.787.700 მანეთის პროდუქტები. ამ ციფრებიდან ნათლად ჩანს, რომ საკოლმეურნეო ბაზრობაზე პროდუქტების შემოზიდვა დღითიდღე მატულობდა და ბოლოდ 18 ოქტომბერს ქონდა ადგილი კლების ზოგიერთ ტენდენციას.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემოზიდვის ყოველდღიურ ზრდას უნდა გამოეწვია ფასების თანდათანობითი დაკლება; მაგრამ ფაქტიურად ფასების შემცირება არ მიდის ათასნაირ ტემპით. ბაზრობაზე ფასების მოძრაობის დასახასიათებლად საკმარია დავასახელოთ რამდენიმე ციფრი: 14 ოქტომბერს ფუთი კართოფილი იყიდებოდა 28 მანეთად (აღებულია საშუალო ფასი), 15 ოქტომბერს, ე. ი. ბაზრობის გახსნის 1-ლ დღეს დღეში კართოფილის ფასმა დაიკლო 20 მანეთამდე, ხოლო შუადღის სათვის 16 მანეთამდე. იმავე დღეს ხალხის კართოფილი უკვე იყიდებოდა 14—15 [illegible] ქილო პამიდორი 13 და 14 ოქტომბერს ფასობდა 1 მან. 25 კ., 15 ოქტომბერს დილით 80 კაპ., ხოლო შუადღისას —50 კაპ.

16 ოქტომბრიდან კარტოფილზე ფასების დაცემა შეწყდა. ფუთი კარტოფილი უკვე 18 მან. იყიდებოდა. 17 ოქტომბერს ფასების კიდევ მოიმატა. ფუთი კარტოფილი იყიდებოდა 20—21 მანეთად. გამონაკლისის შემთხვევებში ზოგიერთი კოლმეურნეები 18 მანეთად ყიდიდნენ მაგ. 18 ოქტომბერს კარტოფილის ფასმა მიაღწია 23—24 მანეთს. ასეთივე სურათს იძლევა პამიდორზე, კომბოსტოზე, ყველაზე და სხვ. ფასების მოძრაობა.

ფასების ზრდის ტენდენცია ფაქტია. ამის მთავარი მიზეზი მეგობართა ომში, რომ ეხლადსხვა კოოპერატიული და სავაჭრო ორგანიზაციები გამოდიან ბაზრობაზე და ბოლოდ იძენენ სახოფლო-სამ. პროდუქტებს. ამ ორგანიზაციების წარმომადგენლები ხშირად მეზობლად ჩარჩ-ვაჭრებთ მუთოლებს, როგორც ეხლა მოახერხეს ბაზრობაზე მომსვლელი კოლმეურნეებიდან პროდუქტების პარტიებით შეძენა. „ხილოუზტრასნა“-ს მუშ. დან. კოოპ. თავისი წარმომადგენელი გაგზავნა კოლმეურნეებთან გზაში შესახვედრად, რომ მოეხერხებინა საქონლის შეძენა. თბილისის რაიონტრანსპორტო კოოპერაციის წარმომადგენლები გზაში შებადნენ ფალავერდის რაიონიდან მომგავალ კოლმეურნეებს და ოფიციალური ვაჭრობის შედეგად მოსთხოვეს, რომ მათთვის მიეცათ ყველა ის პროდუქტები, რაც ბაზრობაზე გასაყიდად მოეჭრათ. ასეთი მაგალითი ბევრია. სტუდენტთა ორგანიზაციები, სხვადასხვა ნებაყოფლობითი საზოგადოებები, მუშათა დასურსათო კოოპერატივები, საზოგადოებრივი კვების ტრესტი, ცალკე სახადგილებიც კი, დღეიდღეზე გამოდიან ბაზრებზე პროდუქტების პოოულად შესაძენად.

მერძეობის კოლმეურნეცენტრის ამიერ-კავკ. განყოფილებამ, გუშინ ხიდნაღდეო კოოპერაციების შეცდომაში შეყვანის საშუალებით, შეიძინა 6 ფუთი კარაქი და 40 ხუთი ცხვარი. შეიძინა და კოლმეურნეებს ამის შესახებ მისცა ოფიციალური ცნობა დეფიციტური სამრეწველო საქონლის მისაღებად, მაგრამ მერძეობის კოლმეურნეცენტრის ამიერ-კავკ. განყოფილების წარმომადგენელმა კარგათ იცოდა, რომ კოლმეურნეებს ბაზრის გარეთ გაყიდული საქონლისათვის არავინ არ მისცემდა სამრეწველო საქონელს.

ასეთი აფთრატაჟი იწვევს არევ-დარევას და ფასების ზრდას. ამას თან ემატება ის გარემოება, რომ ბაზრებზე რაიონების გაწოწიმდის გეგმა არაა შედგენილი ისე, რომ ყოველთდღეურათ იყოს დაცული წონასწორობა ერთ დღეს, მაგალითად გამოდიან უმთავრესად, მესაქონლეობის რაიონები. მაშინ ბაზარზე დიდძალი ხორცია და ფასებიც კლებულობს. მეორე დღეს ბაზარზე შემოდის დიდძალი კარტოფილი და ა. შ.

პროდუქტებზე ფასების შესამცირებლად საჭირო ბრძოლა სათანადოთ არაა გაშლილი. ხელის შეწყობის მაგიერ, სამომხმარებლო კოოპერაცია უფრო აბრკოლებს პროდუქტებზე ფასების შემცირებას: ბაზრებზე ხშირია შემთხვევა, როცა სამომხმარებლო კოოპერაციის სასურსათო კარავთან დიდი რიგებია გაპართული.

ბაზრობის კომპეტენცია გულდასმით უნდა შეისწავლოს ეს საკითხი და მიიღოს გადამჭრელი ზომები საზოგადოებრივი, ან კოოპერატიული ორგანიზაციების მიწდობებით ღიასული გადამყიდველების წინააღმდეგ.

საგულისხმოა ერთი გარემოება, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა მიექცეს ყურადღება. ეს, ამაში მდგომარეობს, რომ არ არის დაცული შემსვლელი და საკოლმეურნეო ვაჭრობის ბალანსი. ბაზრებზე უფრო მეტი რაოდენობის სახოფლო-სამეურნეო პროდუქტები ხდება, ვიდრე სამრეწველო საქონელი. რათაა ეს გამოწვეული, რა მიზეზებით უნდა აიხსნას ეს ანორმალური მოვლენა. სამრეწველო საქონელზე დიდი მოთხოვნილებაა, კოლმეურნეებს ფული აქვთ, მაშ რათ არ იყიდება ეს სამრეწველო საქონელი?

15 ოქტომბრის შემსვლელი ვაჭრობის ბრუნვა უდრიდა 532.040 მანეთს, სახოფლ.-სამ. პროდუქტები და შემსვლელი საქონელი, 17 ოქტომბრის გახსნილ 2128600 მანეთის პროდუქტები, ხოლო შემსვლელ ვაჭრობის ბრუნვა უდრიდა 555.440 მანეთს. 18 ოქტომბერს 1.787.700 მანეთის სახოფლო-სამ. პროდუქტები და შემსვლელი ვაჭრობის ბრუნვა უდრიდა—634.349 მანეთს.

ბაზრებზე შემსვლელი ვაჭრობის გამარტივებას გამოიწვია ბრუნვის ზრდა. 15 ოქტომბერს შემსვლელი ვაჭრობის წონები უფრო ფართოები იყო, ვიდრე 17 ოქტომბრის. ამით აიხსნება, რომ 17 და 18 ოქტომბერს სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ბრუნვამ შესამჩნევი ზრდა მოგვცა. მაგრამ იგი მაინც არ არის დამაკმაყოფილებელი. ამასთან საბაზრო სამმართველოებთან განუწყვეტელი რიგებია ქვითარების შესაწერებლათ, რასაც ბოლო კიდევ არ მოეღო.

საბაზრო კომიტეტს მართებს მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ შემსვლელი ვაჭრობის უფრო ფართოდ გაშლას. 10 დღის განმავლობაში შემსვლელი ვაჭრობის წესით უნდა იქნას გახდებული 11—12 მილიონი მანეთის საქონელი, ხოლო განვლილი 5 დღის განმავლობაში გასაღებულია 2 მილიონამდე მანეთის საქონელი. გასასღებელი დარჩა კიდევ 9—10 მილიონი მანეთის საქონელი.

დ. ლ.

ავჭალის საკოლმეურნეო ბაზარი

17 ოქტომბერს ავჭალის ბაზარზე შემოვიდა 445 კილო ყველი, 400 კილო კარაქი, 1850 კილო ხაჭო, 1625 კილო კომბოსტო, 180 კილო კაკალ-ნიგოზი, 112 კილო თაფლი, 2500 კილო კართოფილი, 8900 კილო პამიდორი, 725 კილო ძროხის ხორცი, 172 კილო ცხვრის ხორცი, 2575 კილო კვერცხი, 30 ცალი ინდაური, 250 სული ცხვარი, 750 კილო ყურძენი, 875 კილო ვაშლი, 65 კილო ხმელი მინდი, 1575 ცალი ბადრიჯანი და სხვ.

კილო ყველი გაიყიდა 14 მანეთად კარაქი—20 მანეთად, ლიტრა რძე—10 მანეთად. კილო ერბო 28 მანეთად, ერთი ქათამი—5-6 მანეთად, ფუთი ლობიო—35 მანეთად, ხახვი—30 მანეთად, კილო კომბოსტო—1 მანეთად, ფუთი კაკალი—40 მანეთად, ფუთი კარტოფილი 14-15 მანეთად, კილო პამიდორი (კილოთი) 4 კაპიკად. ძროხის ხორცი (კილოთი) 4 მანეთად, ცხვრის ხორცი—6-8 მანეთად, ერთი კვერცხი—50 კაპ. და სხვ.

18 ოქტომბერს ამავე ბაზარზე შემოვიდა: 9650 კილო კართოფილი, 950 კილო ლობიო, 9750 კილო კომბოსტო, 965 კილო ხახვი, 5525 კილო პამიდორი, 115 კილო კაკალ-ნიგოზი, 1895 კილო ხაჭო, 200 კილო ძროხის ხორცი, 25 კილო ცხვრის ხორცი, 50 კილო კარაქი, 200 კილო ყველი, 1500 კილო ზეთი, 75 კილო ერბო, 400 ცალი ქათამი, 40 ცალი ინდაური, 400 კილო ვაშლი, 860 კილო ბოლოკი, 350 კილო ჭარხალი, 300 კილო ყურძენი, 250 კილო ატმის, 2500 კვერცხი და 4500 ცალი ბადრიჯანი.

სასოფლო სამეურნეო პროდუქტები 18 ოქტომბერს ბაზარზე გაიყიდა შემდეგ ფასებში: ფუთი კართოფილი—14-40 კაპიკად: ლობიო 35-40 მანეთად, კილო კომბოსტო 75 კაპ. კილო ხახვი—2 მან. კილო ხაჭო ერი—1 მანეთად, კილო კაკალი—2.50 კაპ. კილო ძროხის ხორცი—4-5 მანეთად, ცხვრის ხორცი—8 მანეთად კარაქი 25 მანეთად (კილო), ყველი —15 მან. (კილო), ლიტრა ზეთი—10 მანეთად, ერბო—25 მანეთად, ერთი ქათამი 5-6-7-8 მანეთად, ერთი ინდაური—14-15 მანეთად, კილო ვაშლი 1—50-200 კაპიკად, ყურძენი 2—50 კაპ. ატამი 2-50 კაპ. ერთი კვერცხი 50 კაპიკად და სხვ.

ავჭალის საკოლმეურნეო ბაზარზე გახსნილია 15 ოქტომბრიდან ათობით სხვადასხვა სავაჭრო წერტილი, რომლებიც ვაჭრობენ სამრეწველო საქონლით ფიციტიური და ფართო მოხმარების საქონელით. საგაჭ. წერტილები გახსნ. უმთავრესად საკოლმეურნეო ბაზრობაზე მოვაჭრე კოლმეურნეთა და ინდივიდუალური გლეხობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

საქავჭრობის სავაჭრო წერტილი № 14-მი (რომელიც ვაჭრობს სხვა და სხვა ჭურჭლეულობით) 15 ოქტომბერს გაიყიდა 320 მანეთის საქონელი, 16 ოქტომბერს—900 მანეთის, 17 ოქტომბერს—1020 მანეთის, 18 ოქტომბერს—1500 მანეთის.

კოოპფართლეულის სავაჭრო წერტილი № 25-ში (რომელიც ვაჭრობს სამრეწველო დეფიციტიური საქონლით ფართლით, მზა შესაცმელით, ფეხსაცმელით და სატრიკოტაჟო საქონლით) 15 ოქტომბერს გაიყიდა 1300 მანეთის, 16 ოქტომბერს—4215 მანეთის, 17 ოქტომბერს—4784 მანეთის და 18 ოქტომბერს—6520 მანეთის საქონელი.

ყოფა-მოწყობის საზოგადოების სავაჭრო წერტილში, რომელიც ვაჭრობს სატრიკოტაჟო და შეკერილი სამრეწველო დეფიციტიური საქონლით 15-18 ოქტომბრის განმავლობაში გაიყიდა 11,974 მანეთის საქონელი.

საქვაჭრობის სავაჭრო წერტილი № 147-ში (რომელიც ვაჭრობს შეკერილი ტანსაცმლით სატრიკოტაჟო, galanტერიით, რკინის ნაწარმი საქონლით და სხვა) 15 ოქტომბერს გაიყიდა 143 მანეთის სამრეწველო საქონელი, 16 ოქტომბერს—306-90 კაპ., 17 ოქტომბერს—1832-50 კაპ., 18 ოქტომბერს — 1492-97 კაპ.

საქვაჭრობის სავაჭრო წერტილი № 146-ში (რომელიც ვაჭრობს ეკერილეულით, შეკერილი ტანსაცმლით, ფეხსაცმელებით, სატრიკოტაჟო რკინის ნაწარმის საქონლით და სხვ.) 15 ოქტომბერს გაიყიდა 800 მანეთის საქონელი, 16 ოქტომბერს—1370 მანეთის, 17 ოქტომბერს—1902 მანეთის, 18 ოქტომბერს—2223 მანეთის.

საქკოოპბრიდეტრესტის სავაჭრო წერტილი № 64-ში (რომელიც ვაჭრობს კომფეტებით, საგალანტერიო საბაკალეო და საგასტრანომიო საქონლით) 15 ოქტომბერს გაიყიდა 680 მანეთის საქონელი, 16 ოქტომბერს—470 მანეთის, 17 ოქტომბერს 720 მანეთის, 18 ოქტომბერს—980 მანეთის.

ქ. თბილისის რაიონტრანსპორტო კოოპერაციის წერტილი № 58-ში (რომელიც ვაჭრობს ჭურჭლეულობით, აგრეთვე ქსოვილით, კომფეტით, სარეცხი საპნით, ფეხსაცმელებით, სატრიკოტაჟო საქონლით და სხვ.) 15 ოქტომბერს გაიყიდა 1015 მანეთის საქონელი, 16 ოქტომბერს—1085 მანეთის, 17 ოქტომბერს—1858 მანეთის, 18 ოქტომბერს—2760 მანეთის.

18 ოქტომბერს ავჭალის საკოლმეურნეო ბაზრობაზე ადგილი ქონდა სპეციალიანტობის რამოდენიმე შემოწმებას; პირველად შეჰყრობილ იქნა ორი გადამყიდველი—**სპეციალიანტი: დავით ავთანდილოვი და ვანო კარაპეტოვი**, რომლებიც ყუთულიდან საქონელს კოლმეურნეებისაგან და შემდეგ ყიდიდენ. შეპყრობილთა ნაცვ. გადამყიდველები გაიგზავნენ რაიონილიაციაში.

შემდეგ ამისა შეპყრობილ იქნა ოთხივ **არუთინოვი**, რომელიც ერთ ბაზარზე ყიდულობდა ყველს და ყველს ავჭალის საკოლმეურნეო ბაზარზე. გადამყიდველს ჩაჰერთვა საქონელი და თითონ გადმოგზავნა რაიონილიაციაში.

საჭიროა ადგილობრივმა ბრიგადებმა და საგუშაგოებმა კიდევ უფრო გააძლიერონ მეთვალყურეობა.

გაზ „საკოლმეურნეო ბაზრობა“-ს საგუშაგო.

რას ამბობენ აჭარელი კოლმეურნეები

16 ოქტომბერს ახალი ბაზარი დატვირთული იყო რაიონებიდან ჩამოსული კოლმეურნეობა და ინდივიდუალური მშრომელი გლეხობით მოზიდული ნაირ-ნაირი სასურსათო პროდუქტებით.

ახალი ბაზარი არ ჰგავს რამდენიმე წლის უკან არსებულ „დეზერტირა“-ს: გამოცვლილა გარეგნობა, ბაზარი და გამოიცვალენ ის ადამიანებიც, რომლებიც წინად „დეზერტირა“-ზე გასხდიდნენ.

...დღეს საბჭოთა ბაზარზე მოვიდა სოციალისტური გზაზე შემდგარი სოფლის მებოძოლეები — კოლმეურნეები.

სისხლით შეფერილ დროებითაა შემკული ახალი ბაზარი. აქ ნახავთ, როგორც ქართველ კოლმეურნეს, ისე ჩვენი მოძმე სომეხ და აზერბეჯანელ კოლმეურნეებს.

...სათასლათობით არ სცალია არავის. ყველა თავის საქმეს აკეთებს.

ახალ ბაზარზე, სამომხმარებლო კოოპერაციის რაიონებიდან მეტრაბადაშენიან ფარდოლთან, 12 კოლმეურნე მისულა ფართლის საყიდლათ. მათი თავისებური ჩაცმულობა და გამოხედვა აუცილებლად დაგაინტერესებთ და აღგიძრავთ მათი ინობის გაგების ფაიფერს.

ამით ინტერესებულმა გავიგე, რომ ეს კოოპერატორები ჩამოსულან აჭარისტანიდან სოფ. ფეთელურიდან (ბულვის რაიონი) და თან ეახლნენ ყველანი ჩამოსრანი: ქარაქი, ერბო, ყველები, ქათამი, მსხალი და ვაშლი.

მაია სახლიები (ცნობილია ფეიალურში, როგორც საუკეთესო ამქრელი კოლმეურნეების.

აი მათი სახელი და გვარიც: აღალი მახარაძე, ფაი ბერიძე, ხასან სირაძე, დურსუნ სირაძე, დურსუნ ხიმშიაშვილი. რამინ ხიმშიაშვილი; ჯემილ ხიმშიაშვილი, აბრეთ ხიმშიაშვილი, ცეცხლაძე, ფიალაძე, ფუტკარაძე და შიმშიაშვილი.

— ჩვენ აღფრთოვანებით მოვლოდით თბილისის საკოლმეურნეო ბაზრობაზე, ამბობს „წითელი მთვარის“ არტელის თავჯდომარე აღალი მახარაძე. ჩვენ არ მოველოდით ასეთ შეხვედრას, მართალია ფეთელურის სოფლის საბჭომ განგვამართა, თუ რა დაგხვდებოდა თბილისში, მაგრამ მაინც ჩვენ ამდენს არ მოველოდით. მეორეჯერ ირწმუნებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ჩვენ არტელს ჩამორჩენა არ ჩვეია და არც ამ თვითხელებში გვინდოდა ჩამორჩენილიყავით. გაზაფხულზე თესვის კამპანია წარმატებით დავამთავრეთ. თამბაქო დავრგეთ გეგმის თანახმად 4 ჰექტარზე. მუშაობის დროს თითოოროლ გვქონდა გამწვილი სოციალისტური შეჯიბრება. რის შეიძლება მივაღწიოთ გეგმის შესრულებას.

— ბალაქის მუშის მომარაგების გაუმჯობესებისათვის ეს საკოლმეურნეო ვაჭრობა მისწრებაა. ბაზრობის პირველი შეხვედრა; ამას ჩვენ ფიქრით ადასტურებს. დასძენს **ხასან სირაძე.**

— გარდა ამისა, საკოლმეურნეო ვაჭრობა ჩვენთვისაც კარგია. გამოვაქვს ბაზარზე ჩვენი ნამუშევარი და ჩვენი სურვილის მიხედვით ვყიდულობ მას, რაც მჭირდება. ამან კი ათმაძრავა ფუხარა ხალხი... ისინი უფრო ენერგიულად მუშაობენ... ამით კი უფრო მტკიცდება ჩვენი არტელი.

...ასეთია ამ 12 აჭარელი კოლმეურნის აზრი საკოლმეურნეო ვაჭრობაზე და თბილისის საკოლმეურნეო ბაზრობაზე. ათ სიტყვებში ითქვა ბევრი საუკეთესო აჭარელ კოლმეურნეების შეხედულება ამ საკითხებზე.

...ისინი პირველად არიან თბილისში. გვპირდებიან, რომ კიდევ ჩამოვლენ, უფრო ორგანიზაციულად და, ჩამოიტანენ სასოფლო - სამეურნეო პროდუქტებს.

...თან ჩამოიყვანენ ამხანაგ კოლმეურნეებს.

ჯ. კალანდაძე.

კმაყოფილი მივდივართ

პატრიკეთის კოლმეურნეს წერილი

ჩვენი ს. პატრიკეთის (ქუთაისის რაიონი) სას. სამ. არტელი თბილისის საკოლმეურნეო ბაზრობაზე ჩამოვიდა 16. ოქტომბერს. კოლმეურნეები დიდი გატაცებით მიდიოდენ ბაზრობაზე. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თბილისის პროლეტარები ღირსეულად შეხვდებოდენ მათ ჩვენი მოლოდინი გამართლდა.

თბილისის მშომელ მოსახლეობას ჩვენ ჩამოვუტანეთ სას. სამ. პროდუქტები; ხილბოსტნეული, კვერცხი და ყველი, ჩამოუყვანეთ ქათმები და სხვა. ჩამოტანილ პროდუქციას ჩვენ ვყიდდით ბაზრობაზე შექმნილ ფასებში და ხშირად ნაკლებადაც. მაგ. ქილო პამიდორი გავყიდეთ 50 კაპ. ყველი 9-10 მან. ხახვი 150 კაპ., კვერცხი (ცალი) -40 და ა. შ. საქონლის ასეთი გაიაფებით ჩვენ მუშა-მოსხმარებელს შეეძლებინეთ მისთვის საჭირო პროდუქტების ყიდვა.

ვაჭრობა ჩვენმა კოლექტივმა 18 ოქტომბერს დაამთავრა. ამ დღეს შეეძინეთ ჩვენთვის საჭირო სამრეწველო საქონელი. მე განსაკუთრებით მჭირდებოდა თოკი, რომელიც შევიძინე სარეწაო კოოპერაციის ქავშირის მაღაზიაში, კილო 10 მან. და 50 კაპ. გარდა ამისა, მე ვიყიდე ედრები, ფართლეული და სხვა. ასეევე მოიქცნენ ჩვენი ამხანაგები კოლმეურნეებიც.

მთავარი, რაც ამ ბაზრობის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ესაა დიდი რიგები სამრეწველო საქონლის მაღაზიებთან. გარდა ამისა, ისიც უნდა ვთქვა, რომ როცა ჩვენ აქეთ მი

„დღე, ოქტომბრის 15 წლის თავზე შეამოწმოს ქვეყანამ, თუ ვინ შეასრულა თავისი ბოლშევიკური სიტყვა“

თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკა ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს

სამარცხვინო გარღვევებიდან გამოსვლა— პროლეტარული ღირსების საქმეა

(მაუდ-კამოლის ფაბრიკა)

ლენინგრადელების მომართვას, ოქტომბრის რევოლიუციის 15 წლის თავთან დაკავშირებით, **თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკაც** გამოეხმაურა. მომართვის საპასუხოდ, ფაბრიკამ მთელი რიგი ვალდებულებები იკისრა; მათ შორის ძირითადი იყო **ფაბრიკის წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმის ვადაზე შესრულების უზრუნველყოფა.**

რამდენად გაანალიზა ფაბრიკამ ალებული ვალდებულება? მიმდინარე წლის მესამე კვარტალში ფაბრიკას უნდა გამოეშვა 2.942.421 მანეთის პროდუქცია, ფაქტიურად გამოუშვა 1.556.253 მან., რაც უდრის გეგმის 52,4 პროც., პროდუქციის ცალკე სახეობა მიხედვით გეგმების შესრულება ასეთ სურათს იძლევა: **კამოლური ნართი** უნდა დაემზადებია 97.509 კგრ., დაამზადა 68.880, რაც უდრის გეგმის 70,6 პროც. **მაუდის ნართი** უნდა დაემზადებია 109.117 კგრ., **დაამზადა** 39.284 გეგმის 36 პროც. **კამოლური ხამი** უნდა დაემზადებია 181,137 მეტრი, ფაქტიურად დაამზადა—105.501, გეგმის—58,2 პროც. **მაუდის ხამი** გეგმით — 131.491 მეტრი, ფაქტიურად—61.765, გეგმა შესრულდა 47 პროც., **კამოლური მზა საჭონელი** გეგმით—171.676 მეტრი, ფაქტიურად 87.755 მეტრი, მაუდის მზა საჭონელი გეგმით—123.178 მეტრი, ფაქტიურად — 54.230, რაც შეადგენს გეგმის 44 პროცენტს და სხვ. მოყვანილი ციფრები გვიჩვენებს, რომ მაუდ-კამოლის ფაბრიკა მესამე კვარტალში სამარცხვინოდ ჩამორჩა. ოქტომბრის პირველი დეკადის წინასწარი ცნობებიც ასეთივე სურათს იძლევა.

რა არის ამ სამარცხვინო ჩამორჩენის მიზეზი? მაუდ-კამოლის ფაბრიკა მუშა-ხელის მწვავე დანაკლისს განიცდის. მესამე კვარტალში ფაბრიკას უნდა ყოლოდა 1471 მუშა, ფაქტიურად ყავდა 821; მოთხოვნილება მუშა-ხელზე დაკმაყოფილებული იყო მხოლოდ 56,3 პროცენტით. ფაბრიკის ადმინისტრაცია მუშა-ხელის შეგროვებისადმი ამჟამად მემარჯვენე ოპორტუნისტულ დამოკიდებულებას იჩენს. ფაბრიკას არც ერთ კოლმეურნეობასთან არა აქვს დადებული ხელშეკრულება მუშა-ხელის მოზიდვის მიზნით. ფაბრიკის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები დღემდე არ იღებენ გადამჭრელ ზომებს ფაბრიკის მუშაობაში ამ ყველაზე სუსტი ადგილის გამოსასწორებლად. ლენინგრადელების მომართვის დამუშავებასთან დაკავშირებით გამოიყო ბრიგადები, რომელთაც ფაბრიკისათვის უნდა შეეგროვებინათ კვალიფიციური მუშები, მაგრამ ბრიგადების მუშაობას თითქმის არაფითარი რეალური შედეგები არ მოყოლია.

ფაბრიკაში შრომის დისციპლინა ძლიერ სუსტია, რაც გამოხატულებას პოულობს გაცდენებსა და წყნში. არა სპეციო მიზეზით გაცდენები, სამუშაო დღეთა რაოდენობასთან შეფარდებით 6 პროც. აღემატება. დიდია წყნი. მარტო აგვისტოში წყნი მაუდის ნართის მიხედვით უდრის 11,7 პროც., ხოლო ნაქსოვის — 30,9 პროც. **ეს ციფრები ფაბრიკის მუშაობას სამარცხვინო ლაქად ასხია და უპირველეს ყოვლისა, წარმოებას ფაბრიკის პროფორგანიზაციის სრულიად არა დამაკმაყოფილებელ მუშაობაზე საწარმოო დისციპლინის მტკიცედ დაცვას, საკანცელარიო – ადმინისტრატიული ბარაქების მაქსიმალურად შემცირებას.**

დაიღუწყეს ამის შესახებ ადგილობრივმა პროფესიონალურმა ორგანიზაციებმაც, რომლებიც მოწოდებული არიან მუდამ ფხიზლად იდგნენ მასეთი ჯიშის კონტროლის განსორციელების სადარაჯოზე.

გაბერილი შტატები, ზშირი და ზოგჯერ მიზანშეუწონელი მივლინებები, ხელფასის მექანიკურად გადიდება, ზედმეტ საათებში მუშაობა—ყველაფერი ეს ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. ყველაფერი ეს ხდება მაშინ, როდესაც შესაძლებელი იყო ამ ხარჯების დიდი ნაწილის თავიდან აცილება, **სახელმწიფო ქონების დაზოგვა.**

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის საფინანსო ჯგუფის ბრიგადებმა შეამოწმეს თბილისის მთელი რიგი სამეურნეო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო დაწესებულებების შტატები და სამეურნეო-ადმინისტრატიული ხარჯების მდგომარეობა.

რა მივიღეთ შემოწმების შედეგად? მიღებული შედეგები მჭევრმეტყველურად ლაღდებენ დაწესებულებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა ზოგიერთი ხელმძღვანელების უყაირათობაზე, სახელმწიფო საშუალებებისადმი გაუფრთხილებლათ მოპყრობაზე.

დავიწყოთ ღარიბ ებრაელთა ღამხმარე კომიტეტიდან, რომელსაც მრავალი საწარმო და სახელოსნო აქვს თბილისში და პერიფერიაში.

აღნიშნულ კომიტეტს თავისი შტატის შესანახათ თვიური ხელფასის ფონდი მიმდინარე წლისათვის დამტკიცებული ჰქონდა 16.300 მანეთის რაოდენობით. 1-ლ კვარტალში შტატის შესანახათ ისინი ხარჯავდენ 16.600 მანეთს ყოველთვიურად. შემდეგ თვეებში ეს თანხა კიდევ უფრო გაიზარდა და თვიური ხელფასის ფონდმა მექანიკურად იმატა, რამაც სახელმწიფო სალაროს მიაყენა 1.725 მან. ზარალი. ებრაელთა დამხმარე კომიტეტში ხელფასს მექანიკურად უმატებდნენ, არა მარტო „უებრო სპეციებს“, არამედ აპარატში მომუშავე კომუნისტებსაც. საჭიროა აღინიშნოს, რომ აპარატში მომუშავე კომუნისტებზე კანონით გათვალისწინებულ ნორმებზე გადაჭარბებით გაცემული იყო 2.475 მანეთი, საყოფოლით ზედმეტი სამუშაოს წარმოებისათვის გადახარჯული —1.064 მანეთი. **სულ ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის ხაზით გადახარჯულია—5.264 მანეთი.**

კალინინელები ანაღდებენ ვალდებულებას

ამხ. **კალინინის** სახ. ქარხნის მუშებმა 2ჯერ კიდევ მიმდინარე წლის მაისში აიღეს საბრძოლო ვალდებულება: დიადი ოქტომბრის **16 წლის თავისათვის შეესრულებინათ წლიური გეგმა.** კალინინელებმა გაშალეს გმირული ბრძოლა აღებული ვალდებულების განაღდებისათვის. ამ ბრძოლის შედეგები თვითდასაწინო გახდა; წლის პირველი ნახევრის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის ქარხანა საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ დაჯილდოებული იქნა 5.000 მანეთით, ხოლო საქ. მძიმე მრეწველობის სახ. კომისარიატის მიერ—3.000 მან.

კალინინელები ტემპებს არ სთმობენ, პირიქით, ლენინგრადელების მოწოდების საპასუხოდ უფრო გააცხოველეს მუშაობა დამიდინარე წლის გასული 9 თვე მნიშვნელოვანი მიღწევებით დაამთავრეს. ამ ცხრა თვის განმავლობაში ქარხანას უნდა გამოეშუშავებინა 1.105.000 მან. პროდუქცია, ფაქტიურად გამოიმუშავა 1.425.164 მანეთის. წარმოების ცალკე დარგების მიხედვით 9 თვის გეგმების შესრულების ასეთი სურათის ძიძგეა: ქარხანას ელექტრო უთოები უნდა დაემზადებია 5.500 ცალი, დამზადებულია 7.902 ც., გეგმის 143,7 პროც., ელექტრო შემდუღებელი აპარატ.—41 ც., დამზადდა 71 ც., რაც უდრის გეგმის 173,1 პროც., ლურსმანი—450 ტონა, დაამზადა 541,5 ტონა, გეგმის 123,4 პროც. და სხვ.

გეგმის მიხედვით ერთ მუშას დღეში უნდა გამოეშუშავებინა 24 მან. და 83 კაპ. პროდუქცია, ფაქტიურად შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 31 მან. და 17 კაპეიკამდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუშა-ხელის რაოდენობა, საცვლად გეგმით გათვალისწინებულ 262-ისა, უდრის 267. ამასთან შეფარდებით, ხელფასის ფონდში გათვალისწინებულ 260.000 მანეთის ნაცვლად, ქარხანამ ხელფასისათვის დახარჯა 288.000 მანეთი.

ქარხნის წლიური გეგმა ითვალისწინებს 1.500.000 მანეთის პროდუქციის გამოშვებას; 9 თვეში გამოშვებულ იქნა 1.425.164 მანეთის, ოქტომბრის პირველი დეკადის გადაჭარბებით შესრულდა 30.000 ღირ. პროდუქციის გამოშუშავებს. შემდეგ წლიური გეგმა შესრულებულ იქნება. **კალინინელები პროლეტარულ პირობას იძლევიან, რომ წლიური გეგმის შესრულება 7 ნოემბრისათვის უზრუნველყოფილი იქნება.**

მარგანეცის მრეწველობა გარღვეულ ფრონტს ასწორებს

(ჭიათურა, საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა უკანასკნელ ხანებში თავს აღწევს ჩამორჩენას. განვლილი თვეების დავალიანება ნაწილობრივ დაფარულია.

მაღაროების მუშებმა ტემპების გაძლიერების შედეგად სექტემბრის თვის და მთლი ანად მესამე კვარტალის საწარმოო-საფინანსო გეგმის ძირითადი მაჩვენებლები გადაჭარბებით შეასრულეს. სექტემბრის თვის დავალება ითვალისწინებდა 58.410 ტონა მარგანეცის გამოღებას, ფაქტიურად გამოღებულია 64,644 ტონა. ამრიგად, გამოღების გეგმა შესრულებულია 10,9 პროცენტის გადაჭარბებით. საექსპორტო მარგანეცის გამოღების დარგშიაც მომხდარია გარდატეხა. სექტემბერში გეგმის თანახმად უნდა გამოღებულიყო 8719 ტონა, ფაქტიურად გამოღებულია—11.579 ტ., გეგმის 132,8 პროცენტი.

მარგანეცის გარეცხვის გეგმის შესრულება სექტემბერში, შედარებით წარსულთან, დამაკმაყოფილებელ სურათს იძლევა. სექტემბერში გეგმით უნდა გარეცხილიყო — 26.612 ტონა, ფაქტიურად გარეცხილია — 30329 ტონა—116,2 პროც.

გაძლიერდა ბრძოლა თვითღირებულების კლებისათვის და შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის.

გეგმის შესრულებისათვის ბრძოლის საუკეთესო ნიმუშებს გვაძლევენ დამკვრელები: **სარჩის სარჩისიძე** (სამჭედლო საამქრო) სექტემბრის გეგმა შეასრულა 112 პროც. და პროდუქციის თვითღირებულება შეამცირა 50 პროც. **ოვანეს ბაბაიანი** (საზეინკლო საამქრო)—გეგმას ასრულებს 130—140 პროც., პროდუქციის თვითღირებულება შეამცირა 5 პროც., **პავლე ვოლკოვი** (სამავთულო საამქრო)—სექტემბრის გეგმა შეასრულა 122 პროც. **აბოვიანმა** და **სტრუჩკოვმა** (ელექტრო-მექანიკური საამქრო) სექტემბრისა გეგმაზე ზევით გამოუშვეს 10 კომპლექტი ელექტროშემდუღებელი აპარატები. კალინინელების რიგებში ასეთები ბევრია. 80 მათგანი, წლის პირველი ნახევრის გეგმების გადაჭარბებით შესრულების გამო, დაჯილდოებულია 5.000 მანეთით.

ჩამოთვლილ მოწინეებთან ერთად, ხაზი უნდა გაესვას ზოგიერთ დეფექტებს, რომლებიც ჯერ კიდევ გაჰხვდა ამხ. კალინინის სახ. ქარხანას. სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილია მხოლოდ ერთი საამქრო (სამჭედლო) და ერთი ბრიგადა ელექტრო-სამონტაჟო საამქროდან. დანარჩენი საამქროებისა და ბრიგადების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანისთვის მიზეზად ასახელებენ „მტკიცე გეგმების უქონლობას საამქროებში“, მაშინ, როდესაც თვით ეს „გეგმების სმტკიცე“ ქარხნის ადმინისტრაციაზეა დამოკიდებული.

მუშათა კულტსაყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას არ ეჭცევა სერიოზული ყურადღება. ქარხანას არა აქვს საკუთარი ბოსტანი; დახურული მუშათა კოოპერატივის მუშაობა თვალსაჩინოდ სუსტია; სასადილოში კერძები ერთფეროვანია და სხვ.

ქარხანას საკუთარი კლუბიც არა აქვს, რაც უარყოფითად მოქმედებს მუშათა კულტურული მომსახურეობის საქმეზე. არსებული წითელი კუთხეც სრულიად არადამაკმაყოფილებელად მუშაობს, უნდა აღინიშნოს ფერეიდენობა, რომ გამოსასვლელი დღეების უშრომელობა არაა გამოყენებული მუშათა კულტურული დასვენებისათვის.

ამხ. კალინინის სახ. ქარხნის ადმინისტრაციამ და პარტიულ-პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა უნდა გაამხეიერონ ყურადღება მუშათა კულტსაყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, მაგრამ ძმაბიჭების დახმარებით ეს საკვეთო შეიცვალა ორი წლით პირობითი სასჯელით.

ამის შემდეგ, მესტიაშვილი დაინიშნა კენაფის საბჭოთა მეურნეობის (სიღნაღის რაიონი) **საწყობის** გამგედ. სამი თვის შემდეგ აქედანაც მოხსნეს. შემდეგ მოეწყო კოოპერატივში, მაგრამ აქედანაც მალე გააძევეს. 1931 წლის ნოემბერში მესტიაშვილი მოეკლინა თბილისის მისამე სამილიციო უბანს, უფროსის თანაშემწედ. აქაც მესტიაშვილი მოხსნილ იქნა სამსახურიდან. შემდეგ იგი დაინიშნა სიღნაღის რაიმილიციის უფროსის თანაშემწედ.

მეორედაც ძველი ამბავი. სიღნაღში მესტიაშვილმა კვლავ მიჰყო ხელი ხულიგნობას. მესტიაშვილი ფულების გამოცდილი მითვისებელია. რაიმილიციის სახელით სიღნაღის მუჩქმეთის არტელ „ენერგიას“ მან მოჰყიდა ჩამორთმეული კონდრახანდი ტყავი, რაშიაც 500 მანეთი აიღო. ამის დამადასტურებელი საბუთი მოიპოვება თბილ არტელ „ენერგია“-ში აი რას ამბობს ეს საბუთი:

ოფიციალური ცნობებიდან ირკვევა, რომ ალინშნული თანხიდან მესტიაშვილს არც ერთი კაპეიკი არ გადუხარებია შემოსავალში. ამ 500 მანეთიდან 250 მანეთი მას შეუტანია სახბანკში, ხოლო დანარჩენი მითვისებია.

ა—წ. სექტემბერში მესტიაშვილი მოხსნეს სიღნაღის მილიციიდან და მისი საქმე გადასცეს სამხედრო ტრიბუნალს. დღეს თავდ მესტიაშვილი ძმაბიჭების დახმარებით მოეწყო ტოლუმის რაიონში მილიციის უფროსის თანაშემწედ. ჩვენ ვეკითხებით რესპუბლიკის მილიციის სამმართველოს: ვისთვისაა საჭირო მესტიაშვილი, ისიც მილიციის რიგებში საპასუხისმგებლო თანამდებობაზედ?

ა—ა.

რა ხდება სად. სანდარაში

სადგურ **სანდარაში** (ბორჩალოს რაიონი) ბლომად მოდის საქონელი სხვადასხვა ორგანიზაციების სახელზე. მოსული საქონელი რამოდენიმე ხნით ყრია გარეთ და ფუჭდება. გადუზიდველის გარდა, არც რკინის გზის მოსამსახურეები აკლებენ მას ხელს.

ბამკირეთის საბჭოთა მეურნეობის სახელზე მოსული საქონელი გარეთ ყრია; აწვიმს, სჭამენ ღორები, და იპარავენ. ამას სათანადო ყურადღებას არავინ აქცევს. ამავე საბჭოთა მეურნეობის სახელზე რამოდენიმე თვეა მოსულია შუშის ოთხკუთხედები, სამწალეულოსათვის. ეს ოთხკუთხედები დღესაც გარეთ ყრია.

„უნიონ“-ის სახელზე მოვიდა კასრების მასალა. (თითო ცალი დაჯდა 1 მან. 60 კაპ.) ეს მასალა რამოდენიმე დღე გარეთ ეყარა. ბევრი როიპირს და შუშათ მოიხმარდა სადგურში ღვინით. სავსე ბოჭკებს ხვრეტენ და თევრებიან. ამას წინად, დამთვრალი ორი მორიგე მეიარე მატარებელმა გადაჭრა. ასეთი უპასუხისმგებლობაა გამეფებული სად. სანდარაში.

მილიციის ერთი მუშაკის შესახებ

ტოლუმის რაიმილიციის უფროსის თანაშემწედ დაინიშნა სიღნაღის რაიონში კარგად „ცნობილი“ თადო მესტიაშვილი. თადო მესტიაშვილი სიღნაღის რაიონის მილიციის ორგანოებში მუშაობდა.

1930 წლის ნოემბერში იგი დაასმარჩლეს სიღნაღის სასამართლოში. შირაქის მილიციის უფროსად ყოფნის დროს მესტიაშვილი უკანონოდ ატატმრებდა მშრომელ გლეხებს, შემდეგ იბარებდა დატატმრებულთა ცოლებს და ცდილობდა მათთან კავშირის დაჭერას. ყველას, ვინც არ მოეწონებოდა, სცემდა. მეტტლე **წუალობა ხომხიშვილს** მან ისე სცემა, რომ ოთხი თვით ლოგინში ჩააწვინა. სცემს ავრეთვე გლეხ **ვანო ფაროსმანიშვილს.** ჩამოთვლილი ბრალდებების გამო მესტიაშვილს მიესაჯა წელიწადნახევრით დატატმრება, მაგრამ ძმაბიჭების დახმარებით ეს სასჯელი შეეცვალა ორი წლით პირობითი სასჯელით.

ამის შემდეგ, მესტიაშვილი დაინიშნა კენაფის საბჭოთა მეურნეობის (სიღნაღის რაიონი) **საწყობის** გამგედ. სამი თვის შემდეგ აქედანაც მოხსნეს. შემდეგ მოეწყო კოოპერატივში, მაგრამ აქედანაც მალე გააძევეს. 1931 წლის ნოემბერში მესტიაშვილი მოეკლინა თბილისის მისამე სამილიციო უბანს, უფროსის თანაშემწედ. აქაც მესტიაშვილი მოხსნილ იქნა სამსახურიდან. შემდეგ იგი დაინიშნა სიღნაღის რაიმილიციის უფროსის თანაშემწედ.

სპეკულიანტები ისქელებენ ჯიბეს

საგარეთუნოს რაიონის გლეხკომს თბილისში გახსნილი აქვს ხორცითა და ხილეულით სავაჭრო წერტილი, რომლებშიაც თავმოყრილია ყოფ. ვაჭრები. პირველი ნომერი წერტილს გამგეობის თავმჯდომარე, ყოფილი ვაჭარი **კლიმენტი კობახიძეა.** აქ ყველა დღეღამე ძველი ვაჭრობა. ამ წერტილში ვაჭრები ეწევიან სპეკულიაციას. საგარეუნოსნო მომმარაგებელი ბაზიდან მოტანილი საქონელი წერტილში უნდა იყიდებოდეს 5 პროც. მოგებით, სინამდვილეში კი იყიდება შემდეგ ფასებში: ვაშლი, რომელიც უნდა იყიდებოდეს 1 მან. 30 კაპ; იყიდება-3 მან. 50 კაპ. ხახვი (კილო) უნდა გაიყიდოს 1 მან. 30 კაპ. იყიდება 3 მან. 50 კაპ. კომბოსტო 1 მან. ნაცვლად იყიდება 1 მან. 50 კაპ; კარტოფილი კი 1 მან. 25 კაპ. მაგივრად 2 მანეთად იყიდება.

ეს იქის თბილისის საბჭ. მომარაგების განყოფილებამ, რომელიც დღემდე არავითარ ზომებს არ იღებს ამის წინააღმდეგ. თბილისის საბაზრო კომიტეტის ფინინსპექტორ **ჯოლიძეს** (ფასების მომწესრიგებელია) ამ წერტილდან ყოველდღიურად უფასოდ ეგზავნება 2 კილო ხახვი, 5 კილო კარტოფილი და კომბოსტო.

გლეხკომის სავაჭრო წერტილი და საბაზრო კომიტეტი უნდა გაიწმინდოს უცხო ელემენტებისაგან.

საერთო საცხოვრებელი

უნუგეშო მდგომარეობა გაუსაძლისია

(თბილისის მაუდის ფაბრიკა)

საუბედუროდ ისეა, რომ „კომუნისტი“-ს გამსვლელმა რედაქციამ ორჯერ მიუთითა თბილისის მაუდის ფაბრიკის ორგანიზაციებს მუშათა საბინაო პირობების გაუმჯობესების აუცილებლობაზე, ისინი მაინც არ იღებენ ამ მიმართულებით საჭირო ზომებს.

ფაბრიკის მუშებისათვის არსებობს საერთო საცხოვრებელი, რომელიც ყოვლად უნუგეშო მდგომარეობაშია. საცხოვრებელში შეძსვლელი ფრთხილად უნდა იყოს, რომ იატაკის ფიცრებს შორის, რომელიც ერთმანეთს დაცილებული არიან, ფეხი არ ჩაუვარდეს.

საცხოვრებელი წარმოადგენს ფიცრებისაგან უხარისხოთ შეკეთებულ ბაზაში, რომელიც ჭარი თავისუფლად დანავარდობს.

საცხოვრებლის ფანჯრებში არ არის ჩაღმული მინები, დამტკრეულია საწოლები, არ მოიპოვება მაგიდები, სკამები და სხ. საჭირო მოწყობილობანი და არ არის კანალიზაცია.

არაა დაცული სანიტარულ – ჰიგიენური პირობები და სათანადო ზომები არაა მიღებული მუშათა კულტურულ – საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის; საცხოვრებელს ყავს ექიმი, მაგრამ მას როცა მოესურვება, მაშინ შეირბენს საერთო საცხოვრებელში, 3—5 წუთით.

საერთო საცხოვრებელში, მუშებთან ერთად ცხოვრობენ საფაბრიკო-საქარხნო სკოლის მოწაფეებიც, რომლებსაც აქ სრულებით არა აქვთ ნორმალური მუცადინეობის საშუალება.

საცხოვრებელში საფაბრიკო-საქარხნო სკოლის გამგემ დროებით ჩაასახლა სამი მოწაფე კომკავშირელი ქალები: ამხ. კურდღელაშვილი, ჭერასოშვილი და შათირიშვილი; ეს ამხანაგები ერთ ღამეს დარჩენ ბინაში, მეორე დღეს კი რწმუნებულმა **ხუნდაძემ** მათი ბარგი გარეთ გამოყარა.

საცხოვრებლის რწმუნებული **ხუნდაძე** ფაბრიკის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, ბინაში ცხოვრების უფლებას აძლევს ისეთ ხალხს, რომლებიც ფაბრიკაში არ მუშაობენ.

მ. ქავთარაძე.

მოთავსებულ ღერილების საპასუხოდ

„ბოროტმოძმედი“ დირექტორი

„კომუნისტი“-ს 9 სექტემბრის ნომერში, ამ სათაურით მოთავსებული იყო წერილი, რომელიც შეეხებოდა ტაბახმელას ბიოქარხნის დირექტორ **რუსიშვილის** საქმიანობას.

თბილისის გარე-უბნის რაიონის საკ. კომისია-მუშკომიტეტმა ამ წერილის მიხედვით ჩაატარა გამოკვლევა. წერილში **რუსიშვილის** მიმართ წამოყენებული ბრალდებები გამოკვლევით ძირითადათ დადასტურდა. ტაბახმელას ბიოქარხნის დირექტორი **რუსიშვილს გაეთავისუფლა საკუთარი.** მასვე მიეცა წინადადება საჩქაროდ გაატაროს ცხოვრებაში გამოკვლევით გამოკვეთილი ბრივადის მიერ შემოშავებული პრაქტიკული ღონისძიებანი.

უზრუნველყოფილ საშემოდგომო თესვის დანიშნულ ვადაზე დამთავრება

თესვა უნდა დამთავრდეს ოქტ. რევ. 15 წლის საშემოდგომო თესვის ფრონტიდას თავისათვის

(სტალინისის რაიონი)

სტალინისის რაიონში საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიას მიმდინარე წელს, გასულ წელთან შედარებით ფრიად ძნიშვნელოვანი და საგრძნობი მოწყვეები აქვს, მაგ. თუ გასულ წელს 10 ოქტომბრისათვის საშემოდგომო კულტურები რაიონში დათესილი იყო სულ 240 ჰექტარზე წელს ამავე დროისათვის დათესილია 1.233 ჰექტარი, ძირალად მოხსულია 7.778 ჰექტ. საცალად გასულ წელს მოხსნილი 1.035 ჰექტ., 100 პროცენტიანი სათესლე ფონდი შეგროვილია 43.180 ფუთის რაოდენობით იმ დროს, როდესაც გასული წლის შემოგროვილი იყო 16.984 ფუთი, გაწმენდილი შეგროვილია სათესლე მასალა 60.529 ფუთი, გასულ წელს კი ამავე დროისათვის გაწმენდილი იყო 9.423 ფუთი, შეწამლულია 54,900 ფუთი სათესლე ხორბალი იმ დროს, როდესაც გასულ წელს ამავე დროისათვის შეწამლული იყო მხოლოდ 5.818 ფუთი.

რაიონს საგრძნობი მიღწევები აქვს კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების საქმეში, რის შედეგად და მასიური ახსნა-განმარტებითი მუშაობის ფართოდ გაშლით კოლმეურნეობებს შეემატა ახალი წევრები; **სოფ. ცხრა მუხის, ბრეძის, ნაბახტევის,** და სხვა კოლმეურნეობებში შევიდა **56 კომლი,** აგრეთვე **რაიონში ჩამოყალიბდა 4 ახალი კოლმეურნეობა; სოფ. დვანში, თათიანო უბანში, პატარა ახალსოფელში და ალში.**

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამ მოწყვეებისა საშემოდგომო თესვის კამპანიაში ადგილი აქვს სერიოზულ დეფექტებს; ს.ა.ს. (ბ) ცეკას და საბჭომსაბჭოს დადგენილებით საშემოდგომო კულტურებს ხაზით თესლის შეგროვება მთლიანად უნდა დამთავრებულიყო 15 სექტემბრისათვის, მაგრამ ფაქტიურად 10 ოქტომბრისათვის ხაზით თესლის შეგროვება დამთავრებულია მხოლოდ 55 პროც., არადამაკმაყოფილებელი ტემპით მიმდინარეობს თესვა. თესვის გეგმა 10 ოქტომბრისათვის შესრულებული იყო 5,5 პროც.

ზოგიერთი კოლმეურნეობები და ინდ. ღარიბი მეურნე. განიცდიან სათესლე მასალის ნაკლებობას, რომ ეს დაბრკოლება თავიდან აცილებულიყო, საჭიროა მასიური ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაწევა იმ მიზნით, რომ მოეწყოს კოლმეურნეობების მიერ სათესლე სესხად მიცემა ურთიერთ დახმარების სახით იმ კოლმეურნეობებისათვის და ინდ. გლეხებისათვის, რომლებსაც აკლიათ თესლი.

არიან ისეთი კოლმეურნეობებიც, რომლებიც **ტრაქტორების მოლოდინში თავიანთ განკარგულებაში მყოფ ცოცხალ** გამწევ ძალას არ იყენებენ. ასეთ განყოფილებებს ბოლო უნდა მოეღოს. ცოცხალი გამწევი ძალა დატვირთული უნდა იქნეს მაქსიმალურად.

აგარის სამ. სატრ. სადგურმა, რომლის ტრაქტორები 20 საათის ნაცვლად მხოლოდ 12 საათს მუშაობენ და შეკეთების ცუდი ხარისხის გამო ჩშირად უქმად დგანან, ყოველგვარი ზომები უნდა მიიღოს ტრაქტორების მთლიანად დატვირთვისათვის.

პარტრაიკომის დადგენილებით საშემოდგომო თესვა სტალინისის რაიონში დამთავრებული უნდა იქნას ოქტომბრის რევოლიუციის 15 წლის თავისათვის.

დ. ფარეშუზომი.

ხელს უშლიან კოლმეურნეობების განმტკიცებას

(ბაღდათის რაიონი)

მოსავლისა და შემოსავლის განაწილების წესის დასამუშავებლად კოლმეურნეობებზე მიმაგრებულია რაიკოლმეურნეთაგირის მუშაკები. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. სხვა ორგანიზაციები (რაიაიმსკომი, პროფსაბჭო, კოოპერაცია) ამ საქმეში დიდ უყურადღებობას იჩენენ. ისინი არ უწევენ დახმარებას რაიკოლმეურნეთაგირს. დღემდის რაიაღმასკომს და მთელ რიგ სოფლის კომუნალურ ორგანიზაციებს (ბაღდათი, წეთელი ხევი, ობჩი და სხვ.) არ დაუთუშავებიათ მოსაკლისა და შემოსავლის განაწილების საკითხი. რაიონგანი არც კი იცნობს საქ. მიწსახკომის და კოლმეურნეცენტრის 15 აგვისტოს დადგენილებას მოსავლის განაწილების შესახებ.

რაიპარტკომიტეტიდან მიმაგრებული ამხანაგები ჯერ არ გამოცხადებულან ადგილებზე. რაიაღმასკომი არავითარ ზომებს არ ღებულობს მოპალიზებული ბუხჰალტერ-მოხელეების გასაჯანსაღებლად კოლმეურნეობებში. მიმაგრებული ამხანაგები **მუხ. ქახიძე და ირაკლი ნემსაძე კატეგორიულ უარს აცხადებენ კოლმეურნეობებში წასვლაზე.** შრომის აღრიცხვის და ავანსების გაცემის საქმეში ადგილი აქვს პარტიის ხაზის ორმაგ ხინკეებს, ზედა ეღდათის კოლმეურნეობაში საწევარო წიგნაკები 15 სექტემბრამდე ყუთში ეყარა და წევრებზე არ იყო დარიგებული. ამავე კოლმეურნეობაში ორი თვეა რაც კოლმეურნეთა ნამუშევარი დღეები **არ გადაუტანიათ შრომის წიგნაკებში.**

ქვედა ბაღდათის კოლმეურნეობაში ეხლაც აღურაცხეელია შრომა-დღეები, ფულადი და ნატური ავანსები (ზედა ბაღდათი, ქვედა ბაღდათი, როკითი, დიმის მთარე უბანი, რობი და სხვ) საკუთელს, წეთელი ხევის სამი უბნის, ზედა-ბაღდათის და სხვა კოლმეურნეობებში ავანსებს აძლევენ მოთხოვნილების მიხედვით. წეთელი ხევის მეორე უბანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **თადეოზ გუმბრიძეს** მოთხოვნილების მიხედვით გასცა 200 მანეთი.

აკ. სულაბანიძე.



ახლად აგებული სახლი სარემონტო ქარხნის მუშებისათვის ღრმაღელეში

გაბერილი შტატების დახელფასის ფონდის გადახარჯვის შესახებ

მთელი ფრონტით გაშლილმა სოციალისტურმა მშენებლობამ, ხუთწლეულის ოთხ წელში შესასრულებლათ წარმოებულმა ბრძოლამ გამოიწვია არა მარტო უმუშევრობის სრული ლიკვიდაცია, არამედ შექმნა ისეთი პირობები, როცა ჩვენ საქმე გვაქვს მუშა-ხელის სიმცირესთან. სოციალისტური მშენებლობა სულ უფრო და უფრო მეტ მოთხოვნილებებს აყენებს ცოცხალ ძალაზე. საჭიროა ინჟინრები, ტეხნიკოსები, ექიმები, ზეინკლები, კალატოზები, ელექტრიკები, სპეციალური დარგის მუშაკები, აგრონომები, ზოოტეხნიკოსები, შავი მუშები.

ამ გარემოებამ ზოგიერთი ორგანიზაციების ხელმძღვანელებში შექმნა ერთგვარი ფსიხოზი. ოღონდ კი მუშაკი იშოვოს და ხელფასზე არავის აწუხებენ. შეიძლება არც მისი აუცილებლობა იყოს, რომ ესა თუ ის მუშაკი მიღებულ იქნეს დაწესებულებაში მაგრამ აბა როგორ შეიძლება უარი სთქვან კიდევ ერთ თანამშრომელზე.

ამას თან ემატება ერთი გარემოება: სამეურნეო ორგანიზაციებსა და სახელმწიფო დაწესებულებების ზოგიერთმა ხელმძღვანელებმა თითქოს ირწმუნა და დაიწყო ყვირილი, რომ ყველა სპეციალისტისათვის გაბერილი ხელფასის დანიშვნა. ჩვენ ვიცით, რომ მიუხედავად შტატის შესანახი თანხების გადახარჯვისა, საფეიქრო მრეწველობამ მაინც ვერ შეასრულა საწარმოო დავალებათა ღირსეულად შესრულება და ქუთაისის მაუდის ფაბრიკის მუშაობა დღესაც სამარცხვინო დალს არეზს მთელი ტრესტის საქმიანობას.

შტატების გაბერვაში ერთ-ერთი პირველი ადგილი ცეკავშირმა დაიკავა. ცეკავშირის აპარატის შესანახი თვიური ხელფასის ფონდი დამტკიცებული იყო 41.800 მანეთის რაოდენობით. მიმდინარე წლის 1-ლ კვარტალში ყოველთვიურად იხარჯებოდა 48.038 მანეთი. სულ გადახარჯულია 25.146 მანეთი. ცეკავშირში ადგილი არ ჰქონია ხელფასის მექანიკურათ ზრდას, არც ზედმეტი სამუშაოების ანაზღაურებას, მაგრამ სამაგიეროთ შეჭნდა ისეთი შტატი, რომ ხელფასის ფონდი მაინც გადახარჯულია 25.146 მანეთის რაოდენობით.

მიღებულ იქნა თუ არა აქედან რაიმე ეფექტი? გამართლებულია თუ არა ასეთი საგრძნობი თანხის გადახარჯვა? ჩვენ ვიცით, რომ სამომხმარებლო კოოპერაციამ დიდათ გააუმჯობესა მუშაობა, ვიცით, რომ მუშა-მომხმარებლებისათვის მომსახურეობის გაწევა გაცილებით უკეთესია, ვიდრე თუნდაც ერთი წლის წინათ იყო, მაგრამ განა ეს მიეწერება იმ გარემოებას, რომ ცეკავშირის შტატი ფრაზოლოგიურად არის გაბერილი? განა სულ ერთი არაა, თუ რა სახით მოხდება თანხის გადახარჯვა—ხელფასის მეკანიკურად ზრდის, თუ შტატის გაბერვის გზით?

სარეწაო კავშირში ხელფასის მექანიკური ზრდის გამო გადამეტებით დახარჯეს 1-ლი ივლისისათვის 19.140 მანეთი. იქვე, როგორც წესი, შემოღებული ჰქონდათ საღამოობით ზედმეტი სამუშაოების წარმოება, რაშიაც დაიხარჯა 11.602 მანეთი. **ს

საქ. კ. პ. (ბ) წ. საპ. მუშგლეხინის 1932 წლის 6 ოქტომბრის დადგენილება

კედაბოგბიური ინსტიტუტის სამაკუთხედის შესახებ

საქ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი და მუშგლეხების კოლეგია, რომლებმაც განიხილეს საქართველოს ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის კომისიის და ორჯონიკიძის სახ. რაიკომის ინფორმაცია პედინსტიტუტის სამკუთხედის მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავენ, რომ პედინსტიტუტის კომკავშირელთა მიერ ძირითადად სწორად არის გატარებული პრესაში (გაზ. „კომუნისტი“ და „ახალგაზრდა კომუნისტი“) პედინსტიტუტის სამკუთხედის მუშაობის სერიოზული ჩამორჩენა და დეფექტები, როგორიცაა:

ინსტიტუტის საბიუჯეტო ფონდის არასწორი ხარჯვა.

უყაირათო მუშაობა და პედინსტიტუტის ქონების მითვისება (ჯაზიშვილი).

სტუდენტთა შეგზავნა საერთო საცხოვრებელ ბინებში იქ ინსტიტუტის პასუხისმგებელ მუშაკების (ვასაძე, პაიჭაძე, ბურკაძე და სხვ.) ჩასახლებით;

ცალკე მუშაკების (ჯიჯეიშვილი, სამხარაძე) საყოფაცხოვრებო გაბრწყინის ელემენტები;

შინაურულობის, კინკლაობის, და ინტრიგების ფაქტები.

საქართველოს ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინი აღნიშნავს, რომ პარტკოლექტივის ბიურო, დირექცია და პროფკომი, ამ არა საღი მოვლენების და დეფექტების აღმოსაფხვრელად გადამწყვეტი ზომების მიღების ნაცვლად და ორჯონიკიძის სახ. რაიკომის დროული მითითების მიუხედავად, დაადგენ ამ დეფექტების მიჩქმალვის გზას, ახზომდეს კომკავშირელთა თვითკრიტიკას და არ უწევდენ კომკავშირს ბოლშევიკურ ხელმძღვანელობას. ყოველივე ამას არ შეეძლო არ გამოეწვია პარტიული და აკადემიური მუშაობის შესუსტება.

ამის გამო საქართველოს ცენტრალური საკონტროლო კომისია - მუშგლეხინი ადგენს:

1) **ამხ. პაიჭაძეს**, პარტკოლექტივის ბიუროს მდივანს, ინსტიტუტის სამეურნეო-პოლიტიკური ცხოვრების არა საკმაო ხელმძღვანელობისა, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი ბინის ოთახში უკანონოდ ჩასახლებისა და თვითკრიტიკის ჩახშობის ელემენტებისათვის გამოეცხადოს საყვედური და მოიხსნას იგი თანამდებობიდან.

2) **ამხ. ბურკაძეს** — პარტკოლექტივის ბიუროს მდივანს, არაბოლშევიკური გამოხვლისათვის ინსტიტუტის საქმეების შესახებ მოწვეულ კრებაზე, მიეცეს შენიშვნა.

3) დაევალოს ორჯონიკიძის სახ. რაიკომს მიიმაგროს ორგპარტჯგუფი პედინსტიტუტის პარტორგანიზაციაზე და განამტკიცოს იგი პარტკადრებით.

4) წინადადება მიეცეს პედინსტიტუტის ადმინისტრაციას ერთი თვის ვადაში გაასახლოს კერძო პირები პედინსტიტუტის საერთო საცხოვრებელ ბინიდან.

5) პარტკოლექტივის ბიუროს და სამკუთხედის სახელმძღვანელო დასახონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ გადაწყვეტილებათა შესრულებას და პარტიულ - მასიური მუშაობის და კომკავშირის ხელმძღვანელობის გაძლიერებას.

რეფლექტორი აგბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიისათვის

თბილისში მიღებულია 13½-იანი რეფლექტორი, რომელიც გამოიგზავნა ლენინგრადის ასტრონომიული ინსტიტუტის მიერ აბასთუმანის ასტროფიზიკური ობსერვატორისათვის.

გუშინ ლენინგრადიდან ჩამოვიდა სპეციალისტი, კონსტრუქტორი და ორი მექანიკოსი, რომლებიც დადგამენ და ააწყობენ რეფლექტორს აბასთუმანში. რეფლექტორის მონტაჟის დამთავრება განზრახულია 7 ნოემბრისდე, რათა ოქტომბრის 15 წლის თავზე დაიწყოს მასზე მუშაობა.

მიღებული რეფლექტორი წარმოადგენს საბჭოთა წარმოების პირველ დიდ ასტრონომიულ ინსტრუმენტს. ფეგისტო-სექტემბერში ლენინგრადში მოხდა მისი გამოცდა, რამაც სრულიად დაამტკიცა ფირმის ტექნიკური მუშაობის სრული ხარისხი. ამ ინსტრუმენტის ასაწყობად ლენინგრადიდან ჩამოვიდა ოპტიკის, მექანიკური შესრულების მხრივ.

აღნიშნული რეფლექტორი ამჟამად წარმოადგენს საქართველოში პირველ დიდ და სერიოზულ ასტრონომიულ ინსტრუმენტს.

რეფლექტორის გამოგზავნის გამო აბასთუმნის ობსერვატორიის მიერ ლენინგრადიდან მიღებულია მისალმების დეპეშა, რომელსაც ხელს აწერს აკადემიკოსი **კარპინსკი**.

აბასთუმნის ობსერვატორია საბასურო დეპეშაში სთხოვს ლენინგრადის ასტრონომიულ ინსტიტუტს შეიდგეს 60¹¹-იან რეფლექტორის დამზადებას აბასთუმნისათვის. 60¹¹ რეფლექტორი, რომელიც დაიდგმება აბასთუმანში 1935 წელს, უდიდესი და ერთად-ერთი იქნება მთელს საბჭოთა კავშირში.

პრესის გავრცელების კულტესტაფეტა ნელი ტემპით მიმდინარეობს

16 ოქტომბრის საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის სექტორში შესდგა თათბირი ოქტომბრის რეგულიუციის 15 წლის თავის სახელობის პრესის გავრცელების საკავშირო კულტესტაფეტის მიმდინარეობის შესახებ.

თათბირზე გამოირკვა, რომ კულტესტაფეტა თბილისში მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს. „სოიუზპრიატ“-ის რესპუბლიკანურმა და თბილისის კანტორებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობა უნდა გაეწიათ კულტესტაფეტის მიმდინარეობისათვის, დღემდე ვერ შესძლეს ამ საქმეში პარტპროფორგანიზაციებთან დაკავშირება და როგორც ძირეული პრესის—კიოსკის გაზეთების, ისე საქარხნო-საფაბრიკო მრავალტირაჟიანი გაზეთების ჩაბმა კულტესტაფეტაში. „სოიუზპრიატი“ დაგეგმილით გამოეხმაურა კულტესტაფეტას, მაგრამ ისიც შედგილი ესტაფეტის ჩატარების მთლიანი გეგმა და სხვ.

თბილისის ზოგიერთი ფაბრიკა-ქარხნების მრავალტირაჟიანი გაზეთები გამოეხმაურენ კულტესტა-ტას. ტრამვაიში, **ამხ. სტალინის** სახ. სარეკ. ქარხანაში, **კალინინის** სახ. ქარხანაში და სხ. უკვე გაშლილია მუშაობა, გამოირკვა, რომ წმირად გეგმა მუშა-მკითხველმა ვერ აღწევს, გაზეთების დღეებით დაგვიანება—ეს ხომ ჩვეულებრივ მოვლენა და გადაკეთული. ფოსტა“ და „სოიუზპრიატი“-ს ადგილობრივი ორგანოები ყურადღებას არ აქცევენ ამ მდგომარეობას და გაზეთის დაკარგვისა თუ დაგვიანებისათვის თავს კადრების ნაკლებობით იმართლებენ.

ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ კულტესტაფეტის ჩატარებაში დღემდე არ არიან ჩაბმული როგორც რაიონული, ისე ზოგიერთი ცენტრალური გაზეთები. ამ მხრით განსაკუთრებით სუსტია გამომცემლობების მუშაობა. არ სჩანს აგრეთვე ეროვნული ენების ბეჭდვით ორგანოებით მონაწილეობა.

თათბირმა კულტესტაფეტის ჩატარების სახელმძღვანელოდ გამოკყო სპეციალური შტაბი: **ამხ. გრიგორიანის**, **ფინკელის** („პრავდა“-ს—ამიერ-კავკ. წარმომადგენლობა), **ნ. ცხაკაიას** (თბილისის კომიტეტის ბეჭდვით სიტყვის სექტორი), **ყარანაძის**, **კისლუხინის** („ტრაქტორისტი რაბოჩი“), **ა. ლღინტის** („კომუნისტი“), **ფირუმოვის** (საქ. პროფსაბჭო), **სეჭინავას**, **ელოაშვილის** (თბ. აღმასკომი), **ნიკურაძე** და **მონტ'ინის**.

ᲐᲚᲛᲐᲡᲐᲮᲘᲚᲔᲑᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ

საქართველოს ცენტრალური არქივის და მუზეუმის დავალებით, ცენტრარქივის თანამშრომელმა ამხ. ბოჭორიძემ გამოაქვეყნა ძველი მესხეთის ტერიტორია. ნაბეჭდია 8 ქვა მხატვრული რელიეფებით, რომლებსაც აკუთხებენენ ჩვენი ხანის მე-6, 7 და 8 საუკუნეებს. მე-6 საუკუნის რელიეფები უფრო ძველია, ვიდრე ჯვრის ტიელიფები (მე-7 საუკუნის დასაწყისი), რომ ლებიც დღემდე თითქმის უძველესად ითვლებოდა. ერთ-ერთ ქვას, რომელიც მოკაზულია გარეშის მონასტრის კედელში, აქვს შწერალ იოანე შავთელის (შოთა რუსთაველის თანამედროვე მწერალი) წარწერა. აღმოჩენილია აგრეთვე ხელნაწერი წიგნები, ერთი ისტორიული ნაწარმოები, რომელიც ეკუთვნის 1328 წელს, დაწერილია პერგამენტზე. სხვა წიგნები, დაწერილია უფრო გვიან. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ხელნაწერი სომხურ-ქართული ლექსიკონი, რომელიც ერთად ერთია ასეთი ლექსიკონებს შორის. ძველი წიგნი პოტანილია საქართველოს ცენტრარქივში. რელიეფებიდან გადაღებულია ფოტოსურათები (ილს).

1932 წელში საქართველოს საფინანსო-ეკონომიური ინსტ. დამთავრებულთა სია

საბეგმო. ფაკულტეტი

დავითაია ნიკოლოზი, მარგველაშვილი ვარლამი, მაღრაძე ლუარსაბი, აბაზაძე გრიგოლი, ნანაია ილარიონი, ოკუჯავა ილია, ფარეიშვილი თამარი, შენგელია დიონისე, ხუციძრიძე გალაქტიონი, ზოიძე კონსტანტინე, ოსესლიანი თამარი, ჩერქეზიშვილი ნინო, ბარდაველიძე მიხეილი, გაბუნია ვარლამი, გეგეჭკორი დავითი, ჟღენტი ალე ქსანდრე, კობახიძე შალვა, მირინაშვილი ვასილი, მეფარიშვილი კონსტანტინე, ციმბროველი ნიკოლოზი, სიხარულიძე ბორისი, ზურაბიშვილი მიხეილი, გეგეჭკორი გრიგოლი, ლომანაძე მიხეილი, იაშვილი რომანოზი, კაკიხიძე გრიგოლი, დგებუაძე არსენი, ტოროშელიძე სერაფიონ, ჩარკვიანი ივანე, ჩაჩიბაია ელენორა, ჭიქვინაძე გრიგოლი, თოდრია რევაზი, ბოხუა იოსები, ძოძუაშვილი ნიკოლოზი, მაჭარაშვილი ნიკოლოზი, ჭირაქაძე ქეთო, თოფურია დავითი, ნადარეიშვილი იუსტინე, ცოცაშვილი ნიკოლოზი, ლაშხი გიორგი, ჯღენტი დავითი.

საკოლმეურნეო ფაკულტეტი

ანდღულაძე ქეთევანი, ციხაძე დავითი, ბაქრაძე ელადიერი, ბერიკაშვილი მარიამი, ჯაფარიძე კონსტანტინე, კაკაბაძე სიმონი, ვაბტანგოვი რუბენი, ტყემალაშვილი ნიკოლოზი, ბერაძე შოთა, მახარაძე შალვა, ბუხრაძანაძე ვლადიმერი, ცხადაძე ანაპოდისტე.

კოოპერატიული ფაკულტეტი

გოგიჩაიშვილი მიტროფანე, ყვანია ალექსანდრე, ჯღაი რომანოზი, გოგოლაშვილი ანდრო, ფიფია შოთა, შარიქაძე ტერენტი, რუხაძე აკაკი, ჭილაძე ვლადიმერი.

საფინანსო ფაკულტეტი:

დოლიძე გიორგი, დობორჯგინაძე ალექსანდრე, გაბაშვილი ნინო, ლომთათიძე მარკოზი, ოქუაშვილი დავითი, თავდუმაძე თებრო, ფხალაძე ნინო, ბეჟუაშვილი ალექსანდრე, გიორგაძე სევერიანე, ხურცილავა ამელი, კობახიძე ერემია, გოგობერიძე ელენე, ბერეგაძე მიხეილი, თევდორაძე რუბენი, ჭიქინაძე ლეონი.

საფ.-ეკონომ. ინსტიტუტის
დირექტორი: პროფ. დ. ლილიძე.

მსტვრული ლიტერატურა ოქტომბრის 15 წლის თავისათვის

ოქტომბრის რეგოლიუციის 15 წლის თავისათვის სახელგამის მხატვრული ლიტერატურა სექტორი ამზადებს გამოსაცემად შედეგ წიგნებს:

ლექსთა კრებული — „ერთობად“, რომელშიაც მოთავსებული იქნება პროლეტარულ და საბჭოთა პოეტების ლექსები, მიძღვნილი სოციალისტური აღმშენებლობისადმი. პ. ჩხეიძის **ახალი მოთხრობა**: „რომანტიული ამბავი“, თემად აღებულია კავკასიის საოქტესტაციო რკინის გზის გაყვანის პროექტი. **რ. ჭონქაძე** — „პრძოლის გზები“, პიესა სამ სურათად. პიესა იძლევა ოქტომბრის რეგოლიუციისათვის განვლილ გზას. **ნ. ლორთქიფანიძის** ლექსთა კრებული, **სიმონ ჩიქოვანის** ლექსთა კრებული. **სიმონ მღვდლის** ანთოლოგია სომეხ მწერლების და პოეტების ბეს ნაწარმოებები, თანამედროვე ლიტერატურაში მობოძავე სომეხ მწერლების და პოეტების ლიტერატურული ბიოგრაფიები. **მიცნობანა** — „მშვიდობა ხომაა“. მტრები,“ — თარგმანი უკრაინელიდან ირემაძე-რადიონისა. **ან. გიდაშ** — „კოლხიების საოქტესტიანო რკინის გზის გაყვანის პროექტი. **რ. ჭონქაძე** — „პრძოლის გზები“, პიესა სამ სურათად. პიესა იძლევა ოქტომბრის რეგოლიუციისათვის განვლილ გზას.

ᲐᲚᲛᲝᲐᲩᲘᲜᲔᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ

საქართველოს ცენტრალური არქივის და მუზეუმის დავალებით, ცენტრარქივის თანამშრომელმა ამხ. ბოჭორიძემ გამოაქვეყნა ძველი მესხეთის ტერიტორია. ნაბეჭდია 8 ქვა მხატვრული რელიეფებით, რომლებსაც აკუთხებენენ ჩვენი ხანის მე-6, 7 და 8 საუკუნეებს. მე-6 საუკუნის რელიეფები უფრო ძველია, ვიდრე ჯვრის ტიელიფები (მე-7 საუკუნის დასაწყისი), რომ ლებიც დღემდე თითქმის უძველესად ითვლებოდა. ერთ-ერთ ქვას, რომელიც მოკაზულია გარეშის მონასტრის კედელში, აქვს შწერალ იოანე შავთელის (შოთა რუსთაველის თანამედროვე მწერალი) წარწერა. აღმოჩენილია აგრეთვე ხელნაწერი წიგნები, ერთი ისტორიული ნაწარმოები, რომელიც ეკუთვნის 1328 წელს, დაწერილია პერგამენტზე. სხვა წიგნები, დაწერილია უფრო გვიან. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ხელნაწერი სომხურ-ქართული ლექსიკონი, რომელიც ერთად ერთია ასეთი ლექსიკონებს შორის. ძველი წიგნი პოტანილია საქართველოს ცენტრარქივში. რელიეფებიდან გადაღებულია ფოტოსურათები (ილს).

მთელი მსოფლიოს ეროვნებათა პრესის გამოფენა

პრესის გაბოლფენა

ოქტომბრის 15-ს წლისთავისთვის“ თბილისში გაიხსნება მთელი მსოფლიოს ეროვნებათა პრესის გამოფენა — უდიდესი გამოფენა ისტორიაში. ეს გამოფენა 1928 წელს კელნში მოწყობილ საერთაშორისო გამოფენაზე შვიდჯერ უფრო დიდი იქნება.

წელს მოეწყობა გამოფენის პირველი ეტაპი, — 84 ეკრანი. გაიხსნება 12 განყოფილება: 1) გაზეთის ისტორია (საერთოდ), 2) გაზეთის ისტორია რუსეთში, 3) ბოლშევიკური პრესის ისტორია, 4) ოქტომბრის 75 კულტურული გიგანტი—საბჭოთა პრესა საბჭოთა კავშირის 75 ეროვნების ენაზე, 5) ნაციონალური პოლიტიკის შედეგები („ჩვენ და ისინი“), 6) მსოფლიო პერიოდული პრესა 205 ენაზე, 7) მსოფლიოს კომუნისტური პრესა, 8) დაბაგრულ ერების ნაციონალურ - რევოლიუციონური პრესა, 9) მსოფლიოს ყველაზე პატარა („ეკზოტიური“), ერები, 10) საბჭოთა კავშირის პრესა ოქტომბრის 15 წლის თავისათვის, 11) ამიერ-კავკასია (წინად და ახლა), 12) საქართველო.

გამოფენაზე წარმოდგენილია 282 ქვეყანა და მსოფლიოს პერიოდული პრესა 205 ენაზე. უძველესი გაზეთი 363 წლისაა. გამოფენა განსაკუთრებით მდიდარია კოლონიალური და პატარა ერების ეურნალ-გაზეთებით, დაწყებული პირული გაზეთებით მათ მშობლიურ ენაზე.

ბოლშევიკური პრესის ისტორია იწყება კარლ მარქსის „რეინის ახალი გაზეთით“ (1849 წ.) და თავდება 1917 წლის ოქტომბრით.

პირველი, ეტაპი — ოქტომბრის გამოფენა — ეწყობა 12 მოძრაი ბრიგადის სახით და შემდეგ თბილისიდან ცალკე 12 გამოფენად გაყრილდება მთელს ამიერკავკასიაში.

ძირითად განყოფილებას წარმოადგენს „ნაციონალური პოლიტიკის შედეგების“ განყოფილება, სადაც მოკეთილია დამსახურებული შედარებანი, რომლებიც მაგალითად, გვიჩვენებენ, თუ კულტურული ირლანდია დადგა ჩამორჩა ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინად ნაკლებად კულტურულ სამხრეთ-ოსეთს. ამ განყოფილებაში არის კომიტეტის მრავალ წლის მუშაობის შედეგები და ცხრილები, ნაჩვენებია საბჭოთა კავშირის ნაციონალური პოლიტიკის უდიდესი მიღწევები.

მთელი გამოფენის გაშლა განზრახულია 1934 წელს, ამ გამოფენაზე მთელიან მრავალ უცხოელ ტურისტს.

საქართველოს განსაოთების სახალხო კომისარიატმა გაახსნა უმაღლესი სპეციალური კურსები გ-ოფენის მუშაკების მოსამზადებლად, 1933 წლიდან კი ამ კურსებთან გაიხსნება მთელი მსოფლიოს ეროვნებათა პრესის და დამწერლობის სამეცნიერო - საგამოკვლევო ინსტიტუტი.

გამოფენის კომიტეტის თავმჯდომარედ არის ამხ. ფილიპე მახარაძე, თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ბედია, გამოფენის ხელმძღვანელი — ამხ. დალაქიშვილი, რომლის ინიციატივით არის შეგროვილი ყველა ექსპონატები (ადს).

ᲩᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ქალთა მასიური შეჯიბრება

საქპროფსაბჭოს ფიზ. ცენტრ. ბიუროს საქ.-სპორთა სექციამ აწყობს ქალთა მასაურ შეჯიბრებას. შეჯიბრებაზე ჩაწერა სწარმოებს ყოველდღე საღ. 7 საათიდან 9 საათამდე ცენტრ. საქ.-სპორ. ბაზის კომენდანტთან. ჩაწერა გაგრძელდება 20 ოქტომბრამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ საჭადრაკო დარგი მეტად ღარიბია ქალებით, განსაკუთრებით ა.-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში; ამიტომ სექციის ინიციატივა მეტად დროულია. მხოლოდ საჭიროა ქალთა მასის უფრო მეტად მოზიდვის მიზნით საქ.-სპორ. სექციამ ჩაატაროს საათობრივი სააგიტაციო მუშაობა ფაბრიკა-ქარხნებში, განსაკუთრებით იქ, სადაც სჭარბობენ მუშა-ქალები.

ოფიციალური განკოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი „ადგილობრივ გადასახადთა და გადასაღებთა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლის „ე“ პუნქტისა და მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტის რედაქციის შეცვლის შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. 28 აპრილის 3-ის დადგენილებაში „ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-5 მუხლის „ე“ პუნქტი (კან. კრ. 1931 წ. მე-6 №-ი, მუხ. 71; მე-18 №-ი, მუხ. 196 და 21 №-ი მუხ. 223) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

(5. სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადისაგან განთავისუფლება:...)

„ე) მილიციის ოპერატიულ-საწყობო და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობისა და შრომა-გასწორების დაწესებულებათა ოპერატიული და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის მომუშავეს და მისი ოჯახის ერთი ცხენი, უკეთუ იგი გამოიყენება მარტოოდენ სოფლახო სამიროებისთვის და აგრეთვე ერთი ველოსიპედი“.

2. მე-9 მუხლის „დ“ პუნქტი (კან. კრ. 1931 წ. მე-6 №-ი, მუხ. 71 და 21 №-ი. მუხ. 223) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

(9. ოთხფეხი საქონლის გადასახადისაგან ჭალაშად განთავისუფლება:...).

„დ) მილიციის ოპერატიულ - საწყობო და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობისა და შრომა-გასწორების დაწესებულებათა მომუშავის ოჯახის ოთხფეხი საქონელი —ერთი სული“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე Ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭ. თავ-რე: გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანის გ.ა.ა. ჟ. ჟორდანია.

1932 წ. სექტემბრის 13.
ტფილისი.

კარტიული და საბჭოთა კანცელარია

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილების თანახმად 20 ოქტომბრის, სულამის 6 საათზე საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს წითელ დარბაზში შესდგება საქალაქო პარტორგი ბი თხრის მუშაკთა მომხრაგების საკითხზე. საგალდებულოა ქვემოთდასახელებული ამხანაგების დასწრება: ცენტრალური კომიტეტიდან—ამხ. მელაძე, ხაკვეიანი, დეკანოზიშვილი, გრ. ორთონოი, ტ. კორსაველი, ვ. ბაქრაძე. თბილისის კომიტეტიდან—ამხ. ტაკოძოი, წითლიძე, გიორგი თევდორელიძე (ლენრაიკომის მდივანი), გ. დოლაძე (ლენრაიკომის სორგ. განყ. გამგე), ამხ. ბერია (ორჯონიკიძის სახ. რაიკომის მდივანი), გრ. შელია (ორჯონიკიძის სახ. რაიკომის სორგ. განყ. გამგე), მხეიძე („26“ სახ. რაიკომის სორგ. განყ. გამგე), დ. ფცხიაური (ორჯონიკიძის სახ. რაიკომის მდივანი), გრ. შელია (ორჯონიკიძის სახ. რაიკომის სორგ. განყ. გამგე), გიორგობიანი (კომკავშირის ცეკას მდივანი), შუხტაიშვილი (კომკ. ცეკას მდივანი) რუსაძე (კომკ. თბილისის კომიტეტის მდივანი), მათიკაშვილი (საქ. მიწსახკომი), ამირაგოვი (ცეკავშირი), ბოგაპშ (ბოლშევიკების სახ. კომისარიატი), ერისთავი (შრომის და თავდაცვის საბჭოს დამზ. კომიტეტი), გ. მგალობლიშვილი (საქ. სახ. კომ. საბჭო), პ. ალხაზიშვილი (საქ. სახ. კომისართა საბჭო), ნოეკოკუა (თბილისის საბ. ბჭო), ბოეკოკუა (თბილისის საბ. ბჭო), გ. სტურუა (საქ. პროფსაბჭო), ზ. ფალიაშვილი (ბოლშევიკების სახ. კომისარიატი), ერისთავი (შრომის და თავდაცვის საბჭოს დამზ. კომიტეტი), გ. მგალობლიშვილი (საქ. სახ. კომ. საბჭო), პ. ალხაზიშვილი (საქ. სახ. კომისართა საბჭო), ნ